პროლეტარიატის, უეროვნეთა ერთიანობა!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ხუთშაბათი, 29 მაისი, 1952 წ. № 126 (9286). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

მივცეთ სამშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი ქართული ჩაი — მოწინავე (1-ლი გვერდი).

პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი (1-ლი გვერდი).

საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).

ვზარდოთ კადრები მაღალი მომთხოვნელობის სულისკვეთებით — „პრავდის" 28-V მოწინავე (მე-2 გვერდი).

კრიტიკის ჩახშობისა და „საერთო" ხელმძღვანელობის შედეგი (მე-2 გვერდი).

საგაზაფხულო ხვნა-თესვა—შეუწყვეტელი ჩამორჩენა (მე-3 გვერდი).

გ. კვერენჩხილაძე — გარდავქმნათ საავადმყოფოების მუშაობა პავლოვის მოძღვრების საფუძველზე (მე-3 გვერდი).

უცხოეთის გამოჩენილ ადამიანთა მთავრობის ნოტაზე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი ომისა მანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მივცეთ სამშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი ქართული ჩაი

ჩვენი რესპუბლიკის სოციალისტურ სახალხო მეურნეობაში ფრიად თვალსაჩინო ადგილი უკავია ჩაის მრეწველობას. ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უდიდესი დახმარებისა და ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად რესპუბლიკაში წლიდან ფართოვდება ჩაის პლანტაციები, იზრდება მოსავლიანობა. სამოცზე მეტი ფაბრიკა აწარმოებს ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავებას.

ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლიანობის ყოველწლიურ ზრდაზე, ჩაის მზაპროდუქციის გადიდებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ შარშან რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკებმა მიიღეს და გადაამუშავეს 93.575 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, 9.842 ტონით მეტი, ვიდრე 1950 წელს.

ომისშემდგომ წლებში ჩაის მეურნეობისა და მრეწველობის მუშაკთა მიერ მოპოვებული ამ წარმატებებს მიუხედავად, რესპუბლიკის ჩაის მრეწველობას ჯერ კიდევ არსებითი, ფრიად სერიოზული ნაკლოვანებები აქვს თავის მუშაობაში. გარდა იმისა, რომ მთელმა რიგმა ფაბრიკებმა შარშან ვერ შეასრულეს პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმები, ძალიან სუსტად წარმოებდა ბრძოლა მაღალხარისხოვანი ჩაის პროდუქციის გამოშვებისათვის. მაგალითად, რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკების მიერ შარშან გამოშვებულ საერთო პროდუქციაში უმაღლესი ხარისხის შავი ბაიხის ჩაის ხვედრითი წონა მხოლოდ 1,9 პროცენტს უდრიდა, მწვანე ბაიხის ჩაისა—17,5 პროცენტს, აგურა ჩაისა — 25,2 პროცენტს.

ხარისხობრივი მაჩვენებლების ასეთი არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა უწინარეს ყოვლისა იმით არის გამოწვეული, რომ მრავალ ფაბრიკაში არ იცავდნენ ფოთლის გადამუშავების ტექნოლოგიურ პროცესებს. ამასთანავე სერიოზული დარღვევები და თვალსაჩინო ფაქტები იყო მწვანე ფოთლის მიღების საქმეში. მარტო შარშან ჩაის ფოთლის მიმღებ პუნქტებში 136 ათას კილოგრამზე მეტი მეორე ხარისხის ფოთოლი მიიღეს როგორც პირველი ხარისხისა და ზედმეტად გასცეს 479 ათასი მანეთი.

სუსტად წარმოებდა ბრძოლა ჩაის პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის. ჩაის 13 ფაბრიკამ პროდუქციის თვითღირებულება შემცირების ნაცვლად 5.174 ათასი მანეთით გაადიდა, ხოლო მარტო უმაფათის ჩაის ფაბრიკამ გასული წელი 1,5 მილიონი მანეთის ზარალით დაამთავრა. მთელ რიგ ფაბრიკებს დიდი დებიტორული დავალიანება ჰქონდათ, აღმოფხვრილი არ იყო გაფლანგვებისა და სახელმწიფო ქონების დატაცების შემთხვევები.

იმის გამო, რომ ტრესტი „ჩაიმშენმონტაჟი" მეტად ნელი ტემპით აწარმოებს ჩაის ახალი ფაბრიკების მშენებლობას, რესპუბლიკაში ჩაის ფოთლის მოსავლიანობა გაცილებით უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ჩაის მრეწველობა. ამიტომ ფაბრიკების ზედმეტი გადატვირთვაც ერთგვარ გავლენას ახდენს ჩაის პროდუქციის ხარისხზე. ზოგიერთ საექსპლოატაციოდ ახლად გადაცემულ ფაბრიკას არა აქვს დამხმარე ნაგებობანი, არ ჰყოფნის მუშაკთა და სპეციალისტთა საცხოვრებელი სახლები.

ჩაის მრეწველობის კადრების მომზადებაც ბევრად ჩამორჩება ჩაის მრეწველობის განვითარების ტემპებს. ამასთანავე ზოგიერთ ფაბრიკაში დიდია მუშაკთა დენადობა, ნაკლებად ზრუნავენ არსებული კადრების შენარჩუნებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

ვერც საქართველოს ჩაის ტრესტი (მმართველი ამხ. ბ. სარჯველაძე) და ვერც სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს ჩაის მთავარი სამმართველო (მმართველი ამხ. დ. ფანცხავა) დღემდე ქმედითს ხელმძღვანელობასა და კონკრეტულ დახმარებას ვერ უწევენ რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკებს. პირიქით, ტრესტის ხელმძღვანელები ხშირად ჩქმალავდნენ საკუთარ ნაკლოვანებებს, საშუალო ციფრების იქით დროზე ვერ ამჩნევდნენ ჩაის ფაბრიკების მუშაობაში არსებულ სერიოზულ დეფექტებს. უფრო მეტი—ჩაის მთავარი სამმართველო თითქმის მოწყვეტილია ჩაის მრეწველობას, ნაკლებად ზრუნავს ჩაის ფაბრიკების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისათვის.

საბჭოთა მომხმარებელი გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს ჩვენი რესპუბლიკის ჩაის მრეწველობას. გარდა იმისა, რომ ჩაის ფაბრიკებმა უნდა უზრუნველყონ მთელი მიღებული ფოთლის დროზე გადამუშავება, ამასთანავე მათ მკვეთრად უნდა გაუმჯობესონ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, აამაღლონ საერთო პროდუქციაში უმაღლესი ხარისხის ჩაის ხვედრითი წონა. საბჭოთა ჩაი მსოფლიოში ყველაზე მაღალხარისხოვანი უნდა იყოს — ამ ლოზუნგით უნდა იმუშაონ წელს ჩვენი რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის მუშაკმა და სპეციალისტებმა.

ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ ყველა პირობა გვაქვს. საჭიროა მხოლოდ ჩაის მრეწველობაში არსებული ტექნიკის საფუძვლიანი დაუფლება, მექანიზაციის ფართოდ დანერგვა, ტექნოლოგიური პროცესების სისტემატური გაუმჯობესება, არსებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლება, ახალი კადრების გულისხმიერი მომზადება, ჩაის მრეწველობის მოწინავეთა მუშაობის ყველა ფაბრიკაში დანერგვა, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღება, პარტიულ-პოლიტიკური და საგიტაციო მუშაობის გაშლა, შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის გადაჭრით გაუმჯობესება.

პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული ნედლეულის ხარისხზე, ჩაის კრეფის აგროწესების ზუსტად დაცვაზე, მოკრეფილი ფოთლის საწარმოში სწრაფად და დაუზიანებლად გადაზიდვაზე. მაგრამ არის სიგნალები, რომ ამას ყველგან როდი იცავენ. მაგალითად, წულუკიძისა და ზუგდიდის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში ჩაის ფოთოლს დაბალხარისხოვნად კრეფენ, ამასთან წულუკიძის რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ზემდგომ ორგანოებს უდგენენ არასწორ ცნობებს ჩაის სამუშაოთა შესრულებაზე.

საჭიროა ზუსტად დავიცვათ პირველხარისხოვანი ჩაის პროდუქციის გამოშვებისათვის აუცილებელი ტექნოლოგიური პროცესები, გადაჭრით ვიბრძოლოთ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და თვითეული საწარმოს რენტაბელური მუშაობისათვის.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ მტკიცე კონტროლი უნდა დააწესოს ჩაის თვითეული ფაბრიკის მუშაობაზე, ხოლო საქართველოს ჩაის ტრესტმა, პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა ყოველგვარი დახმარება გაუწიონ ჩაის ფაბრიკებს მათს წინაშე დასახული პასუხსაგები ამოცანების სასახელოდ შესრულების საქმეში.

მივცეთ საბჭოთა მომხმარებელს მეტი მაღალხარისხოვანი ქართული ჩაი—ასეთია რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის მუშაკთა საბრძოლო ამოცანა.

გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

მოსკოვი, კრემლი

ვარშავაში მაღალი შენობის — კულტურისა და მეცნიერების სასახლის — მშენებლობის შესახებ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმების დადების გამო პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, რომელიც შეიკრიბა თავის პირველ სხდომაზე 1952 წლის 24 მაისს, მხურვალე მადლობას გიძღვნით საბჭოთა ხალხის ამ ძმური საჩუქრისათვის.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა პოლონეთი გაათავისუფლა, წლითიწლობით სულ უფრო მტკიცდება ჩვენი ხალხების მჭიდრო თანამშრომლობა და სამარადისო მეგობრობა, რის საფუძველია საერთო იდეალები, მშვიდობიანი მშენებლობა, რომელსაც ახორციელებს ახალი, სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილება, ამის საფუძველია მშვიდობისათვის ერთობლივი ბრძოლა. ამ ისტორიულ პროცესში იქმნება აგრეთვე მეცნიერების, როგორც ადამიანის მიერ ბუნების ძალების დამორჩილების მძლავრი იარაღის, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის იარაღის, დიდი შემოქმედებითი პროგრესული როლი. საბჭოთა მეცნიერება—მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მეცნიერება — მსოფლიოს ყველა პროგრესული მეცნიერის სიამაყეა.

ჩვენ გვახარებს ის, რომ პოლონეთის მეცნიერებათა აკადემია — სახალხო პოლონეთის უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება — იმუშავებს კულტურისა და მეცნიერების სასახლეში, რომელიც განასახიერებს საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითს აზრსა და შრომას.

ნგრევისა და ომის ძალების წინააღმდეგ კულტურისა და მეცნიერების სასახლე აშენდება ჩვენს დედაქალაქში როგორც სიმბოლო ადამიანისადმი რწმენისა, როგორც სიმბოლო ჩვენი ხალხების მშვიდობიანი მშენებლობის შემოქმედებითი ძალისა, ამ ხალხების ძმობისა და საერთო იდეალებისა, რომელთა დიდი გამომხატველი და რეალიზატორიც თქვენ ხართ.

პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დავალებით
პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი იან დემბოვსკი
პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი სტანისლავ მაზური

საბჭოთა კავშირში

ნოვაია ალბოვკა. ალბოვკის ჰიდროკვანძის მშენებლობაზე მუშაობენ მძლავრი მექანიზმები — მიწისმწოვი მანქანები, ექსკავატორები, ბულდოზერები, სკრეპერები. იბრძვიან რა წლიური პროგრამის 1 აგვისტოსათვის შესახრულებლად, მექანიზატორები აძლიერებენ მუშაობის ტემპს. **სურათზე:** ელექტროექსკავატორი ქვიშის კარიერზე.

ფოტო ი. ლიხუტასი
(საკადრის ფოტოქრონიკა)

★

დონის წყალი მე-15 რაბს მიაღწია

მუშათა დაბა ციმლიანსკი, 27 მაისი. (საკადრი). მე-15 რაბი ვოლგა-დონის სანაოსნო გზის უკანასკნელი ჰიდროტექნიკური ნაგებობაა. ახლა აქ მიმდინარეობს დასამთავრებელი სამუშაოები — არქიტექტურული გაფორმება. მთელი მისადგომის კედლის მანძილზე დგამენ ფიგურულ-ორნამენტალურ ბოძებს, მიმდინარეობს პარაპეტის მოპირკეთება.

დიდი გაცხოველებაა ქვედა არხზე, რომელიც რაბიდან დონისაკენ მიდის. ამ არხის გაყვანა აპრილში დამთავრდა. ახლა მაშინვე მიიღო დონის წყალი სამ კილომეტრ უბანზე — მდინარიდან რაბის ქვემო მისასვლელის გადამღობ ზღუდარამდე.

როგორც კი დამთავრდება № 14 და № 15 რაბებზე მთელი მოსამზადებელი სამუშაოები, სანაოსნო გზაზე შეერთდება დონისა და ციმლიანსკის წყალსაცავის წყალი.

უკრაინის სსრ. დამთავრდა კამენკის სარწყავი სისტემის პირველი რიგის მშენებლობა ზაპოროჟიეს ოლქის კამენკა-დნეპროვკის რაიონში. სარწყავი არხების საშუალებით დნეპრის წყალს აწვდიან საკოლმეურნეო მინდვრებს.

ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში წელს იქმნება რწყვის სისტემა 820 ჰექტარ ფართობზე. **სურათზე:** ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ტექნიკოსი რწყვის დარგში ი. ა. დოროშენკო წყალს უშვებს.

ფოტო ა. ფატეევისა
(საკადრის ფოტოქრონიკა)

ციმლიანსკის ჰიდროკვანძზე

მუშათა დაბა ციმლიანსკი, 27 მაისი. (საკადრი). ციმლიანსკის ჰესის ექსპლოატაციის მუშაკთა ქალაქს უშუალოდ ეკვრის მიწის კაშხალი. ეს გრანდიოზული ნაგებობა აკავებს მოსულ წყალს. ქვემო დონისაკენ გზა მას გადაღობილი აქვს და, ემორჩილება რა ადამიანის ნებას, იგი მიექანება ტურბინის ფრთებისაკენ.

ამჟამად მიმდინარეობს კაშხალის არქიტექტურული გაფორმება. გუშინ მის თხემზე მემონტაჟეებმა დაიწყეს ფარნების დადგმა. შენდება რკინა-ბეტონის პარაპეტი. დადგმულია ორი კილომეტრი სიგრძის მასიური ზღუდე. მთავრდება ტროტუარების მოასფალტება. კაშხალზე გადის სასამასახურო დანიშნულების ავტოგზა და რკინიგზის მაგისტრალი, რომელიც ერთმანეთს დაუკავშირებს კუბერლესა და მოროზოვსკაიას სადგურებს. მარჯვენა სანაპიროზე უკვე გაყვანილია რკინიგზა ციმლიანსკის სადგურიდან კაშხალზე გასასვლელამდე. მთავრდება რელსების დაგება თვით კაშხალზე.

კაშხალის მახლობლად, ნაპირზე აგებენ 31 მეტრი სიმაღლის მონუმენტურ ობელისკს. ობელისკის მოედანს შეამკობს ოთხი სკულპტურული ჯგუფი, რომლებიც ასახავენ ციმლიანსკის ჰიდროკვანძის მშენებელთა ჰეროიკას.

ზღვისაკენ მიმართულ მარჯვენა სანაპიროს ფერდობზე გაშენდა პარკი. კაშხალისა და ჰესის ქვესადგურის მარცხენა ნაპირზე ირგვება ხეები, ეწყობა ყვავილნარები, ირგვება ყვავილები.

* * *

ციმლიანსკის ზღვის იქით სტალინგრადის მახლობლად უკვე ერთმანეთს ხვდება რუსეთის ორი დიდი მდინარის —დონისა და ვოლგის წყალი. შორს აღარ არის ის დღე, როცა ციმლიანსკის ზღვის წყალიც გაეშურება მეთოთხმეტე რაბით მეთხუთმეტე რაბისაკენ და ქვედა არხში შეუერთდება ქვემო დონის წყალს. ახლა ამ სანაოსნო უბანში წარმოებს უკანასკნელი მზადება პირველი რაბისათვის.

ზახია-ტაშის წყალსაცავი

ტახია-ტაში, 26 მაისი. (საკადრი). აქ ჩამოვიდა სამდინარო ტრანსპორტის დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ექსპედიცია, რომელმაც უნდა შეისწავლოს ტახია-ტაშის მომავალი წყალსაცავის რაიონი.

ამუ-დარიაზე უზარმაზარი კაშხალის მომავალი აგება გამოიწვევს მდინარეში წყლის დონის მკვეთრ ამაღლებას. ამასთან დაკავშირებით ტახია-ტაშის ჰიდროკვანძის მახლობლად იქმნება დიდი წყალსაცავი, რომელიც შემოზღუდული იქნება სპეციალური ზვინულებით.

სამდინარო ტრანსპორტის დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის ექსპედიცია ეწევა ადგილის გადაღებას ჯამორტაუს და ჩორტამბაის რაიონში, რომელსაც შემდეგში ამუ-დარიის წყალი დაფარავს. ამავე დროს იზომება მდინარის კალაპოტის სიღრმე და ისახება წყალსაცავში ნაოსნობის ტრასი.

მდინარის ნოლისა და მომავალი წყალსაცავის სათავისის გამოკვლევა ერთსა და იმავე დროს წარმოებს ხმელეთიდან და ჰაერიდან.

მოსკოველი მოქანდაკენი იწყებენ ციმლიანსკის ჰიდროკვანძის გაფორმებას

ნოვო-სოლენოვსკი, 27 მაისი. (საკადრი). ციმლიანსკის ჰიდროკვანძის მშენებლობაზე ჩამოვიდა მოსკოვის მხატვართა ამხანაგობის საქანდაკო-საწარმოო კომბინატის მუშაკთა ბრიგადა. ამ კომბინატის საამქროებში მზადდებოდა სკულპტურული ჯგუფები ჰიდროკვანძის რაბებისა და სხვა ნაგებობათა გაფორმებისათვის. მათ უნდა დაამონტაჟონ და დადგან მეთხუთმეტე რაბის კოშკებზე დონელ მხედართა სკულპტურული ჯგუფი. მისი ავტორია სტალინური პრემიის ლაურეატი გ. ი. მოტოვილოვი. სკულპტურული ჯგუფის ზომა არაჩვეულებრივია: ყოველი ცხენის სიმაღლე უდრის ცხრა მეტრს, მხედრისა—ექვს მეტრს.

მოსკოვის მხატვართა ამხანაგობის საქანდაკო-საწარმოო კომბინატმა დაამზადა აგრეთვე ბარელიეფები, რომლებიც ასახავენ დიდი სამამულო ომის ჰეროიკას და რომლებიც შეამკობენ მეთოთხმეტე რაბს, დაამზადა ნაჭედი სპილენძის დიდი მოცულობის ემბლემები ობელისკის გასაფორმებლად კაშხალსა და თევზსაავალზე.

გუშინ ცხენოსანი ფიგურები მშენებლობაზე მიიტანეს.

ჩვენი ქვეყნის მინდვრებზე

სასიხარულო ცნობები მოდის ჩვენი ქვეყნის მინდვრებიდან. მთელ რიგ ადგილებში მაისის უხვი წვიმები ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარებას.

სწრაფად იზრდება საშემოდგომო პურეული კულტურის ოლქის მინდვრებზე. სამხრეთში ჭვავისა და ხორბლის ჯეჯილმა უკვე 40-50 სანტიმეტრ სიმაღლეს მიაღწია და ზოგიერთ ადგილას ამოღერებას იწყებს. მწვანე ხავერდივით გადაშლილა გაზაფხულის ნათესი ხორბლის, ქერისა და შვრიის ყანები. კარგად არის ამოსული ჭარხალი და მზესუმზირა.

რიაზანის ოლქის კოლმეურნეობებმა დაამთავრეს თავთავიანი კულტურების თესვა და ახლა საკვებ ძირხვენებსა და სასილოსე კულტურებს თესავენ. ამ კულტურების ფართობი გასულ წელთან შედარებით ერთიორად დიდდება. 18 რაიონმა უკვე შეასრულა გეგმა და ამჟამად ძირხვენებსა და სასილოსე კულტურებს გეგმის გადამეტებით თესავს.

უკრაინის კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს საბოჭკოე სელის თესვის გეგმა და ნათესების მოვლას შეუდგნენ. (საკადრი).

ფაბრიკის ნოვატორთა მანქანები

ლენინგრადი. (საკადრი). ჟილიაბოვის სახელობის საფეიქრო ფაბრიკაში ამუშავდა ქსოვილის ნაწიბურის საწმენდი ახალი ორიგინალური მანქანა. იგი ათავისუფლებს 12 ქალს, რომლებიც ამ ოპერაციას ასრულებდნენ. შრომის ნაყოფიერება ექვსჯერ გადიდდა.

საქსელავ განყოფილებაში საქსელავი მანქანის რეკონსტრუქციის გზით გაუმჯობესდა წარმოებაში გადასაცემად ქსელის მომზადების ტექნოლოგიური პროცესი. ეს საწარმოს წელიწადში 40 ათას მანეთს უზოგავს.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

ჩეხოსლოვაკიაში გაიხსნა მონუმენტი განმათავისუფლებელი საბჭოთა არმიის პატივსაცემად

პრაღა, 26 მაისი. (საკადრი). ჩეხოსლოვაკიელი ხალხი განმათავისუფლებელი გმირი საბჭოთა არმიის პატივსაცემად აგებს მონუმენტებს. ჩეხოსლოვაკიის მრავალ ქალაქსა და სოფელში დადგმულია იმ საბჭოთა მეომრების ხსოვნის აღსანიშნავი სკულპტურები და ობელისკები, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ხალხების თავისუფლებასა და ბედნიერებას.

25 მაისს ქალაქ როკიცანში მრავალი ათასი ადგილობრივი მცხოვრებისა და მთელი პლზენის ოლქის მრავალი დელეგაციის თანდასწრებით ძოლა საბჭოთა მეომრის ქანდაკების საზეიმო გახსნა. განმათავისუფლებელი მებრძოლის სამმეტრიან ბრინჯაოს ქანდაკებასთან, რომელიც დადგმულია ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, დაყენებულ იქნა საპატიო ყარაული.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს მინისტრმა იან გარუსმა და ჩეხოსლოვაკიაში სსრ კავშირის საელჩოს მრჩეველმა ვ. დ. კარიაკინმა.

მიტინგი გადაიქცა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დიდებულ მანიფესტაციად. ხშირად იმართებოდა აღფრთოვანებული ოვაციები, გაისმოდა შეძახილები: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!", „გაუმარჯოს რესპუბლიკის პრეზიდენტს კლემენტ გოტვალდს!", „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!".

ბრნოს ოლქის ქალაქ ვიშკოვის წითელი არმიის ჭეჭაზე 25 მაისს გაიმართა მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგი განმათავისუფლებელი საბჭოთა არმიის პატივსაცემად ობელისკის გახსნის გამო.

ბავშვებისათვის ზრუნვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

პეკინი, 27 მაისი. (საკადრი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენს ჩინეთის სხვადასხვა ეროვნების ბავშვთა სწავლისათვის. როგორც გაზეთი „სინინბაო" იუწყება, სიკანის პროვინციის ტიბეტის ავტონომიურ ოლქში ამჟამად გახსნილია 75 დაწყებითი სკოლა. წელს გაზაფხულზე სკოლები გაიხსნა იმ მაზრებში, სადაც წინათ სკოლა სულაც არ ყოფილა. ოლქში დღითიდღე მატულობს მოსწავლეთა რაოდენობა. განთავისუფლებამდე რომ იყო, იმასთან შედარებით მოსწავლეთა რაოდენობა ერთიორად გადიდდა.

კანდინისა და ლუდინის მაზრებში შეიქმნა პიონერთა ორგანიზაციები.

სახალხო განათლება უნგრეთში

ბუდაპეშტი, 26 მაისი. (საკადრი). უნგრეთის სკოლებში მთავრდება სასწავლო წელი. მომდინარეობს გაძლიერებული მზადება გამოცდებისათვის, რაც ივნისის პირველ რიცხვებში იწყება.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საშუალო სკოლებში ახლა ორჯერ მეტი მოსწავლეა, ხოლო უნივერსიტეტში — სამჯერ მეტი, ვიდრე საბჭოთა არმიის მიერ უნგრეთის განთავისუფლებამდე იყო. მოსწავლეთა მეტი ნაწილი მუშათა და მშრომელ გლეხთა შვილები. წელს უნგრეთში მნიშვნელოვნად გაიზარდა ასიგნებანი სახალხო განათლებისათვის, მარტო განათლების სამინისტროს ხაზით ეს ასიგნებანი 470 მილიონ ფორინტს უდრის. 1952 წელს საბჭოთა კავშირის მაგალითისამებრ საშუალო სკოლებში შემოღებულია გადასაყვანი გამოცდები, აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელი გამოცდები.

სახალხო განათლება რუმინეთში

ბუქარესტი, 26 მაისი. (საკადრი). რუმინეთის სახალხო ხელისუფლება და რუმინეთის მუშათა პარტია დიდ ყურადღებას აქცევენ სახალხო განათლებას.

ახლა რუმინეთში 15.500-ზე მეტი დაწყებითი სკოლაა, ხოლო შვიდწლიანი სკოლების რიცხვი სახალხო ხელისუფლების წლებში ერთიოოზად გაიზარდა. მკვეთრად გადიდდა სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი. 1930 წელს სწავლობდა სასკოლო ასაკის ბავშვთა სულ 52 პროცენტი, ხოლო წელს სკოლებში სწავლობს შვიდი წლის ასაკზე უფროს ბავშვთა საერთო რაოდენობის 96 პროცენტი.

მუდმივი ზრუნვითა და ყურადღებით სარგებლობენ რუმინეთში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ბავშვები. ამჟამად რუმინეთში ასობით დაწყებითი, საშუალო და არასრული საშუალო სკოლაა, სადაც სწავლება წარმოებს უნგრულ, გერმანულ, სერბიულ და უკრაინულ ენებზე. ამ სკოლებში 240 ათასი ბავშვი სწავლობს.

უმჯობესდება ბულგარელი ხალხის კეთილდღეობა

სოფია, 26 მაისი. (საკადრი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

უმჯობესდება ბულგარელ მშრომელთა მომარაგება კვების პროდუქტებითა და ფართო მოხმარების საქონლით. მატულობს ფართო მოხმარების საქონლის ასორტიმენტი. 1949 წელს სავაჭრო საწარმოებს შეეძლოთ მიეწოდებინათ მყიდველთათვის მხოლოდ 44 სახეობის ბამბის ქსოვილი, 1952 წელს კი ყიდიან 122 სახეობის ბამბის ქსოვილს, 1949 წელს უშეებდნენ 25 სახეობის შალის ქსოვილს, ხოლო 1952 წელს — 49 სახეობისას.

გადიდებულია სასურსათო საქონლის ასორტიმენტი. ამჟამად უშვებენ 30 სახეობის ძეხვს და 49 სახეობის სოსისურ-საკონდიტრო ნაწარმს.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში განხორციელებულია დიდი ღონისძიებანი სავაჭრო ქსელის განვითარებისა და გარდაქმნისათვის.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ბ. ა. ჯაბუას საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

გათავისუფლდეს ამხ. გიორგი ანდრიას-ძე ჯაბუა საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან და დაინიშნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ზ. ჩხუბიანიშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

ქ. თბილისი. 1952 წ. 28 მაისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. რაფიელ არტემის-ძე კვირკველიას საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. რაფიელ არტემის-ძე **კვირკველია** საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ზ. ჩხუბიანიშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

ქ. თბილისი. 1952 წ. 28 მაისი.

ვზაარდოთ კადრები მაღალი მომთხოვნელობის სულისკვეთებით

ჩვენმა პარტიამ გამოზარდა და აღზარდა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკთა მრავალრიცხოვანი კადრები, რომლებსაც აქვთ საჭირო ცოდნა, უნარი შესწევთ მოაწყონ საქმე და უხელმძღვანელონ მას, უნარი შესწევთ შეასრულონ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დავალებანი.

პარტიის მიერ აღზრდილი ჩვენი კადრების დამახასიათებელი ნიშნებია ახლის გრძნობა, შემოქმედებითი ინიციატივა, იმის უნარი, რომ თავიანთი ყოველდღიური მუშაობა დაუკავშირონ კომუნისტური მშენებლობის ფართო პერსპექტივას, გადალახონ ყოველგვარი სიძნელე მიზნისაკენ მიმავალ გზაზე.

კადრების სწორად აღზრდა ნიშნავს მივაღწიოთ იმას, რომ ისინი, ყოველდღიურ მუშაობაში ჩაბმულნი, არ გაიყინონ ადგილზე, არ ცხოვრობდნენ მოძველებული ფორმულებით, არამედ აქტიურად ერეოდნენ ცხოვრებაში, განუწყვეტლივ სწავლობდნენ სოციალისტური მშენებლობის გამოცდილებას, მეცნიერულად განაზოგადებდნენ ამ გამოცდილებას და შემოქმედებითად იყენებდნენ მას ხელმძღვანელობის პრაქტიკაში.

კადრების აღზრდის ნაკადი მეთოდია ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა. პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაბედული გაჩაღებით პარტიული ორგანიზაციები ზრდიან კადრებს მუშაობაში მაღალი მომთხოვნელობისა და ნაკლოვანებებისადმი შეუწყნარებლობის სულისკვეთებით.

პარტიის ხაზის ღრმად გაგება, ზრუნვა საზოგადოების ინტერესებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებისათვის — აი რა ახასიათებს ბოლშევიკ ხელმძღვანელს, რომელმაც ყველაზე მაღლა უნდა დააყენოს სახელმწიფოს ინტერესები. პარტიული დირექტივების მტკიცე განხორციელება ღირსების საქმე და უმაღლესი პარტიული მოვალეობაა. პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული წარმატებები მოიპოვეს ბოლშევიკური კადრების მომზადებასა და აღზრდაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა არ დაგვენახა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკის დიდი ნაკლოვანებანიც კადრების სწავლებასა და აღზრდაში. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია და მათი ხელმძღვანელები ადგილ მოთხოვნებს არ უყენებენ კადრებს, ზოგჯერ ლიბერალურად ეკიდებიან უდისციპლინობის შემთხვევებს, ჩქმალავენ მუშაკთა შეცდომებს, ცდილობენ აარიდონ მათ კრიტიკა. ამის შედეგად მთელ რიგ საწარმოებში არის სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, რაც გამოიხატება საგეგმო დავალებათა შეუსრულებლობით, არაკეთილსინდისიერ პროდუქციის გამოშვებით და სხვა შეუწყნარებელი მოვლენებით.

გასულ წელს ტრესტმა „ჩელიაბინსკშახტოსტროიმ“ ვერ შეასრულა კოპეისკის მაღაროს მუშახტეებისათვის საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმა. ცდილობდნენ რა თავიდან აეცილებინათ პასუხისმგებლობა სახელმწიფო დავალების ჩაშლისათვის, ტრესტის ხელმძღვანელებმა — მმართველმა ამხ. მოსიაგინმა და მთავარმა ინჟინერმა ამხ. მუსატინმა დამკვეთის—კოპეისკის ქვანახშირის ტრესტის მმართველის ამხ. პანკრატოვის ხელშეწყობით ჯერ კიდევ დაუმთავრებელი შენობა ფიქტიური აქტებით გაფორმეს როგორც საექსპლოატაციოდ გადაცემული. კოპეისკის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ზვერევმა იცოდა სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ეს ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება, მაგრამ მაინც დაამტკიცა მათ მიერ წარდგენილი ყალბი ცნობები. ამ საქმეში უცნაური პოზიცია დაიკავა პარტიის კოპეისკის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ნოვიკოვმა. იმის ნაცვლად, რომ ემხილებინა ბოროტმოქმედების ჩამდენი პირები, მან გადაწყვიტა დეზოგა მათი თავმოყვარეობა და ლმობიერად მოპყრობოდა მათს შეცდომებს.

განა ცხადი არ არის, რომ ასეთი უპრინციპო პრაქტიკა ძირშივე მცდარია, მავნეა საქმისათვის და თვით მუშაკებისათვის? **პოლიტიკური ხელმძღვანელი, — აღნიშნავდა ლენინი, — პასუხს აგებს არა მარტო იმისათვის, თუ როგორ ხელმძღვანელობს, არამედ იმისთვისაც, თუ რას აკეთებენ ისინი, ვისაც იგი ხელმძღვანელობს.**

ბოლშევიკი ხელმძღვანელი ყოველთვის პატიოსანი და მართალი უნდა იყოს პარტიისა და ხალხის წინაშე. მას ყოველთვის და ყველაფერში ახასიათებს სიტყვისა და საქმის ერთიანობა. იგი ფხიზლად უნდა აფასებდეს მიღწეულ წარმატებებს, არასოდეს არ უნდა ალამაზებდეს სინამდვილეს, არ უნდა ფარავდეს საქმის ფაქტიურ მდგომარეობას.

კომუნისტური პარტია კადრებს ასწავლის ბოლშევიკურ პრინციპულობას, ნაკლოვანებებისა და შეცდომებისადმი შეუწყნარებლობას. თუ კომუნისტი დარწმუნებულია თავის სიმართლეში, იგი ვალდებულია იმოქმედოს არა ვისმე აზრის გავლენით, არამედ ისე, როგორც უკარნახებს მისი გონება და სინდისი. თუ კომუნისტის საქციელი შეესაბამება პარტიის იდეებს, გადაწყვეტილებებსა და მითითებებს, არავინ და არაფერმა არ უნდა გადაახვევინოს მას სწორი გზიდან.

მთელ თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში ჩვენმა კადრებმა უნდა აღკვეთონ შესაძლო ნაკლოვანებანი და შეცდომები, არ დაუშვან ისინი. მაგრამ თუ შეცდომები დაშვებულია, უნდა პატიოსნად და აშკარად ვაღიაროთ ისინი, გავაკეთოთ სათანადო დასკვნები და აღმოვფხვრათ ეს შეცდომები და ნაკლოვანებანი.

„ბოლშევიკების მოვალეობას, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — წარმოადგენს არა თავისი შეცდომების მიჩქმალვა, არა მათი შეცდომების საკითხისათვის გვერდის ავლა, როგორც ეს ხშირად ხდება ჩვენში, არამედ თავისი შეცდომების პატიოსნად და აშკარად აღიარება, პატიოსნად და აშკარად დასახვა გზებისა ამ შეცდომების გამოსასწორებლად, თავისი შეცდომების პატიოსნად და აშკარად გამოსწორება“.

საჭიროა მუდამ გვახსოვდეს ამხანაგ სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ, ვინც ფიქრობს ჩვენი კადრების თავმოყვარეობა დაზოგოს მათი შეცდომების მიჩქმალვის გზით, ის ღუპავს კადრებსაც და კადრების თავმოყვარეობასაც, რადგან შეცდომების მიჩქმალვა ააფეთქებს იმ ახალი, შესაძლოა, უფრო სერიოზული შეცდომების გამორებას, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ კადრების სრული მარცხი.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, ზრუნავენ რა კადრების ზრდისათვის, ადიდებენ მომთხოვნელობას მათდამი, ამწყობენ კადრებს პრაქტიკულ მუშაობაში. მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ გვხვდება შემთხვევები, როცა პარტიული ორგანიზაციები დროზე არ უსწორებენ ამა თუ იმ მუშაკს დაშვებულ შეცდომას, რის შედეგადაც შესაძლებლობას აძლევენ ეს შეცდომა გადიდდეს. ასე მოუვიდა, მაგალითად, პარტიის ტამბოვის ოლქის ინკაინოს რაიკომის ყოფილ მდივანს ამხ. რუდენკოს.

საკავშირო კ. პ. (ბ) ტამბოვის საოლქო კომიტეტს მთელი რიგი წლების მანძილზე მოსდიოდა სიგნალები, რომ ამხ. რუდენკო შელამაზებულად ხატავს სინამდვილეს, უმალავს პარტიას რაიონში არსებულ ფაქტიურ მდგომარეობას, არ იბრძვის სასოფლო-სამეურნეო არტელს წესდების დამრღვევთა წინააღმდეგ, არასწორად ეხმაურება მისადმი მიმართულ კრიტიკულ შენიშვნებს. ამავე დროს საოლქო კომიტეტი დროზე არ იღებდა საჭირო ღონისძიებას რაიკომის მდივნის შეცდომების გამოსასწორებლად, ურიგდებოდა მათ. ამის შედეგად ამხ. რუდენკო სჩადიოდა ახალ, უფრო სერიოზულ შეცდომებს, რომელთა გამო პარტიის საოლქო კომიტეტი იძულებული გახდა ამას წინათ მოეხსნა იგი რაიკომის მდივნის პოსტიდან.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა უნერგავდნენ მუშაკებს სახელმწიფოებრივ მიდგომას ყოველი საქმიანადმი, მოითხოვდნენ მათგან დავალებული საქმის წესიერად შესრულებას, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვას. საჭიროა გადაჭრით ვიბრძოლოთ იმის წინააღმდეგ, რომ მუშაკები უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდნენ თავიანთ მოვალეობას, დაწესებული გეგმებისა და დავალებების შესრულებას.

ჩვენი კადრები, ყველა საბჭოთა ადამიანი მუდამ აღწევენ წარმატებებს თავიანთ მუშაობაში, რადგან მათთვის უცხოა ყოყოჩობა და თვითკმაყოფილება, რადგან ისინი არასოდეს არ სჯერდებიან მიღწეულს და უმთავრესად მომავლის დიადი ამოცანების თვალსაზრისით ზომავენ თავიანთ მიღწევებს.

პარტიული ორგანიზაციების წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულება განუყოფელად არის დაკავშირებული კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაჩაღებასთან. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ კრიტიკა და თვითკრიტიკა წარმოადგენს ჩვენი განვითარების კანონს, გადამწყვეტ საშუალებას იმისათვის, რომ დავძლიოთ ყოველგვარი რუტინა და დახავსებულობა, ყოველივე ძველი, რაც ჯერ ხელს უშლის ჩვენს ძლევამოსილ წინსვლას.

ბოლშევიკი ხელმძღვანელი, რა პოსტზეც უნდა მუშაობდეს, მოვალეა იყოს პოლიტიკოსი-საზოგადოებრივი მუშაკი, რომელსაც ცხოვლად აინტერესებს თავისი ქვეყნის ბედი, იცნობს საზოგადოებრივი განვითარების კანონებს, უნარი აქვს გამოიყენოს ეს კანონები თავის პრაქტიკულ მუშაობაში. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა განუწყვეტლივ ამაღლებდნენ კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდისა და პოლიტიკური წრთობის დონეს, აუმჯობესებდნენ მათი მუშაობის სტილსა და მეთოდებს, იბრძოდნენ ახალი წარმატებებისათვის კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

„პრავდის“ 28-V მოწინავე

გორის საკონსერვო ქარხნის მზაპროდუქციის საწყობში. სურათზე: მარიამ ანთიძე და თამარ ხმიადაშვილი ამზადებენ კომპოტის ქილებს გასაგზავნად.

ფოტო რ. აკოფოვისა

მშრალი ყინული

თბილისის ნახშირმეავა გაზის ქარხანაში ორიოდე წლის წინათ ამუშავდა მშრალი ყინულის საამქრო, რომელიც გაზაფხულისა და ზაფხულის პერიოდში დიდი რაოდენობით უშვებს გაყინულ ნახშირმეავას. ქარხნის კოლექტივს განზრახული აქვს მიმდინარე სეზონში მოსახლეობის ფართო მოხმარებისათვის დაამზადოს მშრალი ყინულის სტანდარტული ნაჭრები და მოაწყოს ამ ყინულით ვაჭრობა. მშრალ ყინულს წყლის ყინულთან შედარებით დიდი უპირატესობა აქვს, ხასიათდება მეტად დაბალი ტემპერატურით (მინუს 78,9 გრადუსი ცელსიუსით), არ დნება, არამედ ორთქლდება, სპობს ყოველგვარ მღრღნელს და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საკვები პროდუქტების (ხორცის, ხილის და სხვ.) შესანახავად ქმნის ხელსაყრელ ატმოსფერულ პირობებს.

ამ შესანიშნავი თვისებების მიუხედავად მშრალი ყინული ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ არის ფართოდ გამოყენებული. საჭიროა მშრალი ყინული ფართოდ გამოიყენონ რესპუბლიკის კვების მრეწველობამ და სავაჭრო ორგანიზაციებმა. ამით გაფუჭებისაგან დაიცავენ მალფუჭად პროდუქტებს და საგრძნობლად გაუმჯობესებენ მოსახლეობის მომსახურებას.

ი. მახაუშვილი

თბილისის ნახშირმეავა გაზის ქარხნის მთავარი ინჟინერი

ავეჯის წარმოების ახალი ტექნოლოგია

თბილისის მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატის კოლექტივმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქაღალის ხის, წიფლის, ჭადრის, თელის, მსხლისა და ყველა სხვა იმ ძვირფასი ჯიშის ხის დამუშავების ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები, რომელთაც იყენებენ პიანინოს, როიალისა და სხვა სახეობის ავეჯის დამზადებისა და მხატვრული გაწყობისათვის.

სპეციალურად კონსტრუირებული წნეხით ფანერის მშრალად გადაკვრის წესს, რაც კომბინატში დანერგეს, დიდი უპირატესობა აქვს ტენიანი ფანერის გადაკვრასთან შედარებით, როგორც ეს წინათ ხდებოდა.

კომბინატმა აითვისა ნიტროლაქებით ფანერის გაპრიალების ახალი წესი, რამაც შესაძლებელი გახადა უარი გვეთქვა მწვავე დეფიციტურ შელაქზე და მოგვეხდინა გაპრიალების შრომატევადი პროცესის მექანიზება, მისი ხარისხის გაუმჯობესება. ამ დროს ფანერის ზედაპირის დამუშავება ხორციელდება სახეხ-საპრიალებელ დაზგაზე, რომელიც კონსტრუირებულ და დამზადებულია კომბინატის მუშაკების მიერ.

მთავარი ტექნოლოგის ინჟინერ ზ. ქოჩიაშვილის წინადადებით კომბინატმა საქართველოში პირველმა დაიწყო ფანერის გამოყენება ფართოდ გავრცელებული ხვალოს ხისაგან ავეჯის მხატვრულად გაწყობისათვის.

რბილი სკამების დამზადებისას კომბინატის მუშაკებმა სპირალური ზამბარები შეცვალეს ზიგზაგისებური ზამბარებით; კლავიშიანი ინსტრუმენტების მნიშვნელოვანი დეტალი — სარეზონანსო დეკა მზადდება სარეზონანსო ნაძვის სპეციალური ჯიშებისაგან. ხის ამ ჯიშის გამოყენება უზრუნველყოფს მუსიკალური ინსტრუმენტების მაღალი მუსიკალური ხარისხის ძლიერ, წმინდა ეღერადობას.

პურის კომბინატის ნარმავება

ხაშური. (საკ. კორ.). ხაშურის პურის კომბინატის კოლექტივმა (დირექტორი ბ. კორკოტაძე) 120,2 პროცენტით შეასრულა პურის ცხობის პირველი კვარტალის გეგმა, გაადიდა შრომის ნაყოფიერება, შეამცირა თვითღირებულება, შესამჩნევად გაუმჯობესა ხარისხი და ორმაგად გაანაღდა დაგროვების დავალება.

მოპოვებული წარმატებისათვის საკავშირო პროფსაბჭომ და სსრ კავშირის მრეწველობის სამინისტრომ „კომბინატს მიაკუთვნეს მეორე საკავშირო პრემია.

ჭრიჭიკის ჩახშობისა და „საერთო“ ხელმძღვანელობის შედეგი

ლანჩხუთის რაიონის მშრომელები ენერგიის დაუზოგავად იბრძვიან უნვი მოსავლისათვის და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევენ. მაგრამ წარმატებანი გაცილებით მეტი იქნებოდა, პარტიის ლანჩხუთის რაიონული კომიტეტი ღრმად რომ ჩასწვდომოდა კოლმეურნეობათა ეკონომიკას და თავის საქმიანობაში ბრმად არ გადმოეღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მუშაობის მანკიერი სტილი.

რაიკომის მდივნები შ. ხიტირი და ვ. კიკვაძე პატივისცემით არ ეპყრობიან კრიტიკას, მშრომელთა სიგნალებს. მეტიც, ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ კრიტიკის ჩახშობისათვის, ულმობლად სდევნიან ყველას, ვინც ბოლშევიკური პირდაპირობით ამხილებს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. სამაგიეროდ მზრუნველობას იჩენენ უვარგისი მუშაკებისა და სისხლის სამართლის დამნაშავეების მიმართ.

„კომუნისტის“ რედაქციაში მრავალი წერილი შემოვიდა სოფელ ჯურუყვეთის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარის სარდიონ ჩხაიძის დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ. ამ წერილების ადგილობრივ შემოწმებით გამოირკვა, რომ ს. ჩხაიძემ მოაჭრევინა და მიითვისა კოლმეურნეობის კაკლის ხე, ყალბი საბუთების შედგენის გზით მიითვისა 500 მანეთი, კოლმეურნეობის ვარგისი პირუტყვი თვითნებურად გადაუცვალა ზოგიერთ უპატიოსნო ადამიანს უვარგის პირუტყვში, 2 ჰექტარი სოიის სათიბი უსასყიდლოდ მისცა მეტყევე გიგინეიშვილს. კოლმეურნეობაში მოუვლელობის შედეგად 31 სული პირუტყვი დაიხოცა. ჩხაიძე სისტემატურად აწვდიდა სოფლის მეურნეობის განყოფილებას ყალბ ცნობებს მეფრინველეობის ფერმაში არსებული მდგომარეობის შესახებ. მისი დაუდევრობით გაწიავდა საზოგადოებრივი მიწები. კოლმეურნეობაში ჩაშლილი იყო ანგარიშსწორება და სხვ.

ამავე წერილებში მხილებული იყო გადამყიდველი ვინმე აკაკი გოგიჩაიშვილი, რომელმაც კოლმეურნეობას სპეკულანტურ ფასებში მიაყიდა 20 კუბმეტრი ხე-ტყე, 300 კილოგრამი ლურსმანი, 52 ტონა ცემენტი და სხვა მასალები. დანაშაულში მხილებული ეყვნენ აგრეთვე სუფსის სატყეო უბნის უფროსი დავით თევზაძე და სხვები.

პარტიის ლანჩხუთის რაიკომის ბიუროს სხდომამ, რომელსაც მეორე მდივანი ვლ. კიკვაძე ხელმძღვანელობდა, შეეცადა უარეყო აღნიშნული ფაქტები. როცა ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, ს. ჩხაიძეს, როგორც „კოლმეურნეობის ენერგიულ და უნარიან ხელმძღვანელს“ მხოლოდ სასტიკი საყვედური აკმარეს. რაიკომის ბიურომ დანარჩენ დამნაშავეებზე რატომღაც არ იმსჯელა.

ვინ არის ეს „ენერგიული და უნარიანი ხელმძღვანელი“ ს. ჩხაიძე? მას კარგად იცნობენ გვიმბალაურის კოლმეურნეობის წევრები. ამ კოლმეურნეობაში ჩხაიძემ გაფლანგა და გაანიავა საკოლმეურნეო სახსრები და ქონება, რისთვისაც იგი მოიხსნა სამუშაოდან და სასტიკი საყვედური გამოეცხადა საარიცხვო ბარათში შეტანით. ცოტა ხნის შემდეგ ს. ჩხაიძე ჯურუყვეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარის პოსტზე აღმოჩნდა, სადაც ასე „ისახელა“ თავი.

ჯურუყვეთის მაგალითი თითქოს საკმაო უნდა ყოფილიყო ს. ჩხაიძის „უნარის“ გამოსავლინებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, პარტიის ლანჩხუთის რაიკომმა კვლავ სიბრმავე გამოიჩინა და ს. ჩხაიძე შუხუთის გამსხვილებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ წამოაყენა. ჩხაიძის მიზეზით შუხუთის კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობა ზრდის ნაცვლად უკან მიდის. იკლო კოლმეურნეობის შემოსავალმა და შრომადღის ხვედრმა. დაეცა სიმინდის საშუალო მოსავლიანობა. 1951 წელს იგი ჰექტარზე 13,1 ცენტნერს უდრიდა ნავარაუდევი 25 ცენტნერის ნაცვლად, ხოლო ჩაის საშუალო მოსავალი აქ ჰექტარზე 630 კილოგრამით დაბალია, ვიდრე რაიონის საშუალო მოსავლიანობა. უფრო მეტიც, უპატრონობისა და მოუვლელობის შედეგად შარშან დაიხოცა 41 სული მსხვილფეხა პირუტყვი, 47 ღორი და 3 ცხენი, ხოლო მიმდინარე წლის პირველ მაისამდე საზოგადოებრივი მეცხოველეობის ზარალი გაცილებით მეტია.

შუხუთის კოლმეურნეობაში მუშაობა რომ ჩაშლილია, ეს პარტიის რაიკომმა დიდი ხანია იცის. 1951 წლის ზაფხულში შუხუთის კოლმეურნეობაში ჩაის პლანტაციის მოვლისა და კრეფის მიმდინარეობის საკითხი რაიკომის ბიუროს მსჯელობის საგანი გახდა. გამოირკვა, რომ 5,81 ჰექტარი ჩაის პლანტაცია ბარდ-ეკლებში იყო გახვეული, მოუწესრიგებელი იყო შრომა, 47 კოლმეურნე მონაწილეობას არ იღებდა შრომაში და სხვ. რაიკომის ბიურომ მიიღო უცნაური დადგენილება: პარტიბიუროს მდივანი ვ. ფირცხალაიშვილი მოხსნა, ხოლო კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ს. ჩხაიძეს მესამედ სასტიკი საყვედური გამოუცხადა საარიცხვო ბარათში შეტანით. საკითხავია ფირცხალაიშვილზე ნაკლები სასჯელი რით დაიმსახურა ჩხაიძემ?

ვინღა არიან აკ. გოგიჩაიშვილი და დ. თევზაძე?

გოგიჩაიშვილი ინჟინრის სამოსელით მოეევლინა ლანჩხუთის რაიონს. რაიონის ხელმძღვანელი ამხანაგების მხარდაჭერითა და დახმარებით იგი კოლმეურნეობებში თავისი მასალითა და მუშახელით აწარმოებდა კანტორების, პირუტყვის სადგომი ბინების და სხვათა მშენებლობას. გოგიჩაიშვილი იყენებდა დაქირავებულ მუშახელს, არ აძლევდა მათ საკმაო ხელფასს, იტაცებდა და სპეკულანტურ ფასებში ჰყიდდა სახელმწიფო ფონდირებულ საშენ მასალებს. გოგიჩაიშვილის დანაშაულობანი მომდინარე წლის იანვარში ამხილა რაიონულმა გაზეთმა „სოციალისტურმა შრომამ“. მიუხედავად ამისა, რაიონის პროკურორმა ზ. დოლიძემ სპეკულანტ და თაღლით გოგიჩაიშვილს შეუწყნარებელი მფარველობა გაუწია.

ბნელით არის მოცული დავით თევზაძის საქმიანობაც. 1949 წლის 5 ოქტომბერს მან საკუთარი „მოსკვიჩი“ დააკადა 65 წლის ქალს. მომხდარი ავარიის გამო საქმე პროკურატურაში დიდი დაგვიანებით—1949 წლის 15 დეკემბერს აღიძრა. მაგრამ პროკურატურაში საქმიდან გაქრა რენტგენის ფოტოსურათი და საექიმო შემოწმების აქტი. 1950 წლის 16 თებერვალს პროკურორის თანაშემწე ქეჩხუაშვილმა გამოიტანა უცნაური დადგენილება—არ აღეძრათ თევზაძის მიმართ სისხლის სამართლის ძიება, რასაც მყისვე დაეთანხმა გულმოწყალე პროკურორი ზ. დოლიძე. ამის შემდეგ თევზაძე „მოსკვიჩიდან“ „პობედაზე“ გადაჯდა.

თევზაძის დანაშაულებრივი მოქმედება ამით არ ამოიწურება. იგი ბოროტად იყენებს თანამდებობას: სატყეო მეურნეობის ზონაში არსებულ მიწებს ოჯარით აძლევს მოსახლეობას დასამუშავებლად, ხოლო მიღებული მოსავლის ნახევარს თვითონ ითვისებს. მაგალითად, შარშან 2.000 კვადრატული მეტრი ფართობი მისცა დასამუშავებლად სუფსაში მცხოვრებ ყარამან ტაკიძეს, ხოლო მოყვანილი ბრინჯის მოსავლის ნახევარი მითვისა. თევზაძემ 6 ჰექტარი ფართობი გადასცა გრიგოლეთში მცხოვრებ ვინმე კარპ დუბოვს, რომელიც აღნიშნულ ფართობს დასამუშავებლად უნაწილებს იქვე მცხოვრებ მოსახლეობას და მოსავლის ნახევარს თევზაძეს აბარებს. სამაგიეროდ თევზაძემ დუბოვს „მოურავის“ მოვალეობის შესრულებისათვის პირად სარგებლობაში 3.000 კვადრატული მეტრი მიწის ფართობი მისცა. დადგენილია, რომ 1948 წლიდან თევზაძე თავისი ოჯახის მომსახურებაზე ამუშავებს ვინმე ანანია გერდოვს, რომელსაც გასამრჯელოს სახით გადასცა 2.000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი. თევზაძის მიერ ჩადენილი ყველა აღნიშნული და სხვა დანაშაულობანი დიდი ხანია ცნობილია პარტიის ლანჩხუთის რაიკომისათვის, მაგრამ რაიკომის მდივნები რატომღაც მას ხელს აფარებენ.

რაიკომის მდივნის შ. ხიტირის ნათესავი ა. შარაბიძე 1941 წლიდან ორჯერ იყო პატიმრობაში სახელმწიფო თანხების გაფლანგვისათვის. მესამედ იგი 1951 წლის 22 დეკემბერს ქობულეთში გასასამართლეს, როგორც გამფლანგველთა ჯგუფის მონაწილე და ერთი წლის იძულებითი მუშაობა მიუსაჯეს. მალე შარაბიძე ლანჩხუთში ჩამოვიდა. რაიკომმა იგი ლანჩხუთის მუშათა კოოპერაციაში გაგზავნა უფროსი ბუხჰალტრის თანამდებობაზე. ამის შემდეგ შარაბიძეს საშუალება მიეცა ბნელი საქმეები ეკეთებინა. აი რას წერს იგი ერთ-ერთი სავაჭროს გამგე-გამყიდველს: „ჭ. კვაჭაძეს! ჭიჭიკო ზეგისათვის ამომიტანე ორი ათასი მანეთი. თვის ბოლომდე მოგცემ. არავის უთხრა ჩვენს გარდა. ალექსანდრე“. აი მეორე წერილიც: „ჭიჭიკო, დაუტოვე ზინას 1.000 მანეთი. მე მოგცემ. ალექსანდრე“. და ამის შემდეგ მოხდა ის, რომ ჭ. კვაჭაძე, რომელსაც 10.000 მანეთი დააკლდა, მიიპალა. ვინ იცის რა მიმოწერა აქვს ა. შარაბიძეს სხვა სავაჭროთა მუშაკებთან. მაგრამ იგი დღემდე თავს არხეინად გრძნობს.

როცა რაიკომის ბიუროს სხდომაზე ჯურუყვეთის საკითხი ირჩეოდა, მართალია აღინიშნა, რომ კოლმეურნეობაში ანგარიშსწორება ჩაშლილია, მაგრამ ბუხჰალტერ დ. ჭყონიასათვის არავითარი სასჯელი არ დაუდვიათ, ამით წახალისებულმა დ. ჭყონიამ კიდევ უფრო არიგ-დარია ანგარიშსწორება. რაიკომისათვის ცნობილია, რომ ჭყონია ნიგზეზიანის ჩაის ფაბრიკაში სახელმწიფო თანხების გაფლანგვისათვის სამი წლით პატიმრობაში იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, იგი დღემდე დიდი პატივისცემით სარგებლობს. კოლმეურნეობაში ფართოდ იყო გავრცელებული დაქირავებული მუშახელის გამოყენების პრაქტიკა. ჩაის ნიადაგის მოსამზადებლად და სადრენაჟო არხების გასაყვანად დაქირავებულ მუშებს 112.576 მანეთი მიეცათ. ამასთან ეს სამუშაოები შესრულებულ იქნა ტრაქტორებით მოხნულ ფართობებზე ძირითადად თებერვალსა და მარტში, მაშინ როდესაც კოლმეურნეები თითქმის დაუტვირთავნი იყვნენ.

დამნაშავეთა მფარველობასა და შემწყნარებლობას ის შედეგი მოჰყვა, რომ დანაშაულს სჩადიან თვით ხელმძღვანელი მუშაკები. ჭანჭათის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ სერგო გოგუაძემ უკანონოდ მიიტაცა კოლმეურნეობის კუთვნილი 2.400 კვადრატული მეტრი ჩაის პლანტაცია. დანაშაულის კვალის დასაფარავად კოლმეურნეობის წევრთა საკარმიდამო ნაკვეთების აღრიცხვის წიგნში (აქტი № 5) ჩაწერეს, თითქოს აღნიშნული ნაკვეთი მის სახელზე იყო გაფორმებული. მაგრამ მათ დააკლეს, რომ № 5 აქტის დედანი სოფლის მეურნეობის განყოფილებაში [illegible] ... სათანადო [illegible] ... ხერხეს შესწორება.

კიდევ მეტი. დანაშაულს სჩადის რაიკომის ბიუროს წევრი, ნიგზეზიანის ჩაის ფაბრიკის დირექტორი არტემ ლომაძე. მან საკუთარი ავტომანქანა „მოსკვიჩი“ რატომღაც თავის ავტომძღოლ მ. მურვანიძის სახელზე გაფორმა. აღნიშნულმა მანქანამ დღემდე 13.491 კილომეტრი გაირბინა და 1.214 ლიტრი बენზინი დახარჯა, საიდანაც 1.164 ლიტრი ფაბრიკის კუთვნილი बენზინია. ამასთან ლომაძეს პირადი მომსახურების მანქანაზე მომუშავე მურვანიძე გარაჟის გამგედ ჰყავს გაფორმებული და უკანონოდ აძლევს ხელფასს.

ასევე დანაშაული ჩაიდინა რაიკომკავშირის თავმჯდომარემ ევგენი ჩიჩუამ. მან კოოპერაციის თანხებით 1950 წლის მარტში ნაღდ ანგარიშზე შეიძინა ავტომანქანა „პობედა“, რასაც არავითარი წინაღმდეგობა არ გაუწიეს ცეკავშირის ხელმძღვანელმა ამხანაგებმა.

რაიკომის მდივნები, განყოფილებათა გამგეები და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები ხშირად დადიან კოლმეურნეობებში, მაგრამ კონკრეტული ხელმძღვანელობისა და დახმარების ნაცვლად ისინი „საერთოდ“ ხელმძღვანელობენ კოლმეურნეობებს. რაიკომის მეორე მდივანი ამხ. კიკვაძე შარშან ჩაის ფოთლის კრეფის სეზონში მიმაგრებული იყო აცანის კოლმეურნეობაზე. მოსალოდნელი იყო, რომ რაიკომის მდივანი შეისწავლიდა ამ კოლმეურნეობის ეკონომიკას, გამოავლენდა გამოუყენებელ რეზერვებს, სწორად მოაწყობდა შრომას, დარაზმავდა კოლმეურნეებს და უზრუნველყოფდა წარმატების მოპოვებას. სამწუხაროდ, ასე როდი მოხდა. კიკვაძემ არევ-დარევა შეიტანა კოლმეურნეობაში. ზოგიერთ რგოლსა და კოლმეურნეს შემცირებული გეგმები მისცეს, ზოგიერთს კი ხელოვნურად გაუდიდეს. ამან კოლმეურნეებში დიდი უკმაყოფილება და გაუგებრობა გამოიწვია, რამაც თავის მხრივ არიგ-დარია პრემიების გაცემის საქმე. ამხ. კიკვაძემ ვერ „შეამჩნია“, რომ კოლმეურნეობაში არავის არ ჰქონდა მიჩენილი 23,19 ჰექტარი ჩაის პლანტაცია.

„კომუნისტის“ რედაქციას სოფლკორი მელიტონ თავდიშვილი ატყობინებდა, ჩოლობარგის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში დანაშაულობანი ხდებაო. წერილის ადგილზე შემოწმებით გამოირკვა, რომ კოლმეურნეობაში იყო საკოლმეურნეო მიწების განიავების შემთხვევები, უხეშად ირღვეოდა არტელის წესდება.

პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. შ. ხიტირმა ყველაფერი გაიკეთა, რომ წერილი რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე არ გამოქვეყნებულიყო. საკითხი რაიკომის ბიურომ განიხილა. ბიუროს იძულებული გახდა კოლმეურნეობის თავმჯდომარის თ. ფირცხალაიშვილის მოხსნის საკითხი კოლმეურნეთა საერთო კრების წინაშე დაეყენებინა. ფირცხალაიშვილი მოხსნეს. მასალები გადაეცა პროკურატურას დანაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად. ამრიგად, სოფლკორ მელიტონ თავდიშვილის მამხილებელ წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე 1950 წლის 11 ივლისს, ოდესაც ფირცხალაიშვილს ხსნიდნენ, ამხ. ხიტირმა უხეშად გალაშქრა მელიტონ თავდიშვილის წინააღმდეგ და მას სისხლის სამართლის დამნაშავე უწოდა.

რაიკომს „უყურადღებოდ“ არ დარჩა აგრეთვე პარტიბიუროს მდივანი მოსე თავდიშვილი, რომელიც ბოლშევიკური პირდაპირობით ამხილებდა არსებულ ნაკლოვანებებსა და დამახინჯებებს. მ. თავდიშვილი ბიუროს დადგენილებით მოხსნილ იქნა პარტბიუროს მდივნობიდან. სოფლკორ მელიტონ თავდიშვილის დევნა იქამდე მივიდა, რომ 1950 წლის 9 აგვისტოს კოლმეურნეობის გამგეობას იგი მოახსენეს ენერგეტიკა ქარხნის მექანიკოსის თანამდებობიდან. გამგეობის ამავე სხდომაზე მოხსნილ იქნა პარტბიუროს მდივნის მოსე თავდიშვილის მეუღლე—მოანგარიშე შურა თავდიშვილი.

მალე თავდიშვილების წინააღმდეგ შეთითხნეს ათასგვარი „ბრალდებები“ და საქმე გადასცეს პროკურატურას. მართალია, ბრალდების უსაფუძვლობის გამო საქმე მოისპო, მაგრამ მათ მაინც ძვირად დაუჯდათ კრიტიკა. მელიტონ თავდ

საგაზაფხულო ხვნა-თესვა

შეუწყნარებელი ჩამორჩენა

მოსავლიანობით და მაღალი ხარისხით ფართოდ არის ცნობილი აბაშის ადგილობრივი ჯიშის სიმინდი. ამიტომ მარტო ამ რაიონის კოლმეურნეობებში იგი წელს გეგმით 12.000-მდე ჰექტარი უნდა დაითესოს. ასევე ბევრი უნდა დაითესოს სოია და სხვა საგაზაფხულო კულტურები.

მაგრამ უნდა ითქვას, როგორც მთელი რიგი კოლმეურნეობებისა და მტს-ის, ისე რაიონის ხელმძღვანელებმა ეს სერიოზული ამოცანა თავიდანვე არ გათვალისწინეს. მოადუნეს ყურადღება, დაუშვეს საქმის გადადება და თესვის გეგმა ჩაშლამდე მიიყვანეს. ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე არ შეუსრულებიათ მზრალად ხვნის დავალება, გათვალისწინებული 2.000 ჰექტარის ნაცვლად რაიონში მხოლოდ 800 ჰექტარი მოხნეს. შემდგომ თვეებში ბევრგან საკმაოდ არ იზრუნეს აგრეთვე მუშა საქონლის ნორმალურად გამოკვებაზე და გამოზამთრებაზე, ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანა-იარაღების შეკეთებაზე. მეტიც—გაზაფხულზე, როცა ხვნა-თესვის დრო დადგა, ნაცვლად იმისა, რომ მუშა საქონელი პირველ რიგში საკოლმეურნეო ფარეხობების დამუშავებაზე გამოეყენებინათ, ბევრგან საკარმიდამო ნაკვეთები დათესეს, ამასთან კოლმეურნეობებსა და მტს-ის სატრაქტორო ბრიგადებში ვერ უზრუნველყვეს მოუცდენლად მუშაობა. ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ რაიონი ამჟამად რესპუბლიკაში თითქმის ყველაზე ჩამორჩენილია, თესვის გეგმა ძლივს სანახევროდ არის შესრულებული. იმ ფართობების მნიშვნელოვანი ნაწილიც კი, რაც მოხნულია, ჯერ დაუთესავია.

ბევრგან როგორც ტრაქტორები და სათესები, ისე მუშა საქონელი ხვნა-თესვაზე გამოყენებული არ არის. კოლმეურნეობებში მოსახნავია 4.000-მდე ჰექტარი, ხოლო დაუთესავი ბევრად მეტია. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა სოფელ პირველი მაისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე კ. გრიგოლია), ამავე სოფლის მალენკოვის სახელობის (თავმჯდომარე შ. თელია), სოფელ მარნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ბ. ფანცულაია). ხვნა-თესვაში ჩამორჩნენ აგრეთვე კვათანის, სუჯუნის, ნაესაკოვოს, ზანათის, ნორიოს, წყემის, დაბა აბაშის კოლმეურნეობები.

იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად დიდია ზოგიერთი ხელმძღვანელის უპასუხისმგებლობა, საკმარისია ითქვას, რომ სოფელ მარნის კოლმეურნეობაში, სადაც შრომისუნარიან წევრთა ერთ მესამედზე მეტს წელს სრულებით არ მიუღია მონაწილეობა საზოგადოებრივ შრომაში; ამასთან არ არის თითქმის არცერთი ბრიგადა, რომელსაც დავალება ასე თუ ისე მნიშვნელოვანი პროცენტით ჰქონდეს შესრულებული. თესვის ამ ყველაზე გადამწყვეტ დღეებში გაყიდეს 13 ტონა სათესლე სიმინდი. ახლა მათ არათუ სათესლე სიმინდი, არაძედ ასეული ჰექტარისათვის სოიას თესლიც არა აქვთ. ამ დანაშაულებრივ მოქმედებას რატომღაც დღემდე ურიგდება როგორც ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ნ. დუნდუა), ისე პარტიის რაიონული კომიტეტი და რაისაბჭოს აღმასკომი.

მხოლოდ უდარდელობით უნდა აიხსნას, რომ დღემდე რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში სოიას თესლი არ მოუმარაგებიათ. მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ რაიონში თესლი საკმაოდ ბევრია და თესვაც ჩამორჩენილია, თესლის გადაცვლასა და შესყიდვაზე დღემდე სათანადოდ არ უზრუნიათ. მარტო ნორიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე შალვა ქვილითაია) საჭირო 152 ცენტნერი თესლიდან მხოლოდ 30 ცენტნერი აქვს მომარაგებული. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ ზანათის ვოროშილოვის, დაბა მოლოტოვის, ნოღოხაშის და სხვა კოლმეურნეობებში.

ხვნა-თესვის აგროწესები დაარღვიეს სოფელ სუჯუნის კოლმეურნეობებში. ხოლო სოფელ მარნის კოლმეურნეობაში ცუდად დაფარცხეს 15 ჰექტარი. მსგავსი მაგალითები სხვაგანაც არის. ყოველივე ამას რაიონის ხელმძღვანელები ადვილად ურიგდებიან.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს წელს აბაშის მტს-ი (დირექტორი ამხ. ა. მიმინოშვილი). მიუხედავად იმისა, რომ ხვნა-თესვა მეტისმეტად ჩამორჩენილია, ტრაქტორების უწესივრობის, საწვავის მოუმარაგებლობისა და კადრების სიმცირის გამო ხშირია მოცდენები, არ სრულდება როგორც დღიური, ისე ხუთდღიური დავალებები. უკანასკნელ დღეებამდე ბრიგადების დიდ ნაწილს თესვაზე არც კი უმუშავნია. მეხუთე ბრიგადამ, რომელსაც ვ. კაჭარავა ხელმძღვანელობს, ხუთდღიურში გათვალისწინებული 100 ჰექტარის ნაცვლად მხოლოდ 41 ჰექტარი დაამუშავა, მესამე ბრიგადამ (ბრიგადირი გ. ჭანტურია) 113 ჰექტარის ნაცვლად—35 ჰექტარი. 20 მაისს ამ ბრიგადის 6 ტრაქტორიდან მხოლოდ 4 ტრაქტორი მუშაობდა, დანარჩენებიდან ერთი დაზიანების გამო გეზათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში იდგა, მეორე კი ტრაქტორისტის უყოლობის მიზეზით—სოფელ სამიქაოს ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში.

ტრაქტორები ღამით იშვიათად მუშაობენ, რადგან დიდ ნაწილს განათება არა აქვს. № 6 ბრიგადის ერთი ტრაქტორი აქ ერთ თვეზე მეტია გაჩერებულია ნაწილის უქონლობისა და შეუკეთებლობის გამო. ტრაქტორებს სათანადოდ ვერ უვლიან და გამომუშავების ნორმებს იშვიათად ასრულებენ ტრაქტორისტები ჭ. გაბილაია, პ. გოგავა და სხვ.

რაიონის კოლმეურნეობებისათვის დამატებით რამდენიმე ტრაქტორი მოყვანილია თერჯოლის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მტს-ებიდან, მაგრამ, ჩანს, ეს არ კმარა. საჭიროა კიდევ უფრო გადამჭრელი ზომები იქნას მიღებული რაიონში ხვნა-თესვის ტემპის გაძლიერებისათვის. საქართველოს კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომმა (მდივანი ამხ. შენგელია) და რაისაბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე ამხ. ადამია) საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ ჩამორჩენის მიზეზი და ქმედითი ზომები მიიღონ ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის.

ტ. თოდრაძე

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

კომბინატორი იურიდიული კონსულტაციის გამგედ

კარგა ხანია, რაც ხაშურის იურიდიული კონსულტაციის გამგედ ადვოკატი პ. ინასარიძე მუშაობს. იგი ბოროტად იყენებს თავის თანამდებობას, კომბინაციების გზით ითვისებს თანხებს. აი რამდენიმე მაგალითი.

მიმდინარე წლის 31 იანვარს სურამის უბნის სახალხო სასამართლომ ბრალდებულ პ. გელაშვილის საქმე გაარჩია. პროცესზე გელაშვილმა დამცველად პ. ინასარიძე გამოიყვანა. ფულიც მისცა 250 მანეთი. ინასარიძემ ამ თანხაზე ორდერი არ გამოწერა და ფული მიითვისა.

1951 წლის აგვისტოში ადვოკატი ინასარიძე ხაშურის სასამართლოში ბრალდებულ ვლადიმერ ტაბატაძის დასაცავად გამოვიდა. მისგან წინასწარ 200 მანეთი აიღო, ორდერიც გამოწერა, მაგრამ თანხა მიითვისა. ბოროტების კვალის დასაფარავად ინასარიძემ ორდერის ყუაზე დააწერა, რომ ტაბატაძის დასაცავად პროცესზე თითქოს სასამართლოს მოთხოვნით გამოვიდა, ხოლო დაზარალებულს ფულის გადახდა გადაუდეს.

ინასარიძემ საკასაციო საჩივრის დასაწერი და თავისი მიგლინების ხარჯები ბრალდებულებს ა. მანჩხაშვილსა და ს. ყველიაშვილს ნაცვლად 75 პროცენტისა 100 პროცენტი გადაახდევინა. მანვე ადვოკატ ა. კვლიშვილს დაავალა სასამართლო პროცესზე გამოსულიყო ბრალდებულ კილაძის დასაცავად, ორდერი თავის თავზე გაიფორმა, ჰონორარიც თვითონ მიიღო, პროცესზე კი ფაქტიურად კილაძის დასაცავად კვლიშვილი გამოვიდა.

ასეთი მოქმედებისათვის პ. ინასარიძეს პასუხი უნდა მოეთხოვოს.

ვ. გურგენიძე

„კომუნისტის“ საუკეთესო კორესპონდენტი

გამოუქვეყნებელი წერილების

კვაღდაკვაღ

ღირსეული სასჯელი დამნაშავეებს

თბილისის რაიონიდან სოფლკორი გვწერდა, რომ დიდ ლილოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო დამზადების წესებს უხეშად არღვევენ. სასოფლო საბჭოს აღმასკომის დამზადებათა აგენტი ა. მრეველიძე ბოროტებას სჩადის. კოლმეურნეობაში არღვევენ სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებას, ანიავებენ საკოლმეურნეო ქონებას და სხვ.

წერილი შესამოწმებლად და საჭირო ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომს, რომელიც გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. საკითხი განხილა რაიკომის ბიურომ, რომელმაც ა. მრეველიძე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადების წესების უხეშად დარღვევისათვის და სხვა დანაშაულებრივი მოქმედებისათვის გარიცხა საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებიდან და მისცა პასუხისგებაში. საკოლმეურნეო ქონების მითვისებისა და კოლმეურნეობის თივის დამტაცებელთა მიმართ ხელის შეწყობისათვის პარტიის რიგებიდან გარიცხულია და პასუხისგებაშია მიცემული კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი გ. თიგიშვილი. პასუხისგებაში მიცემული არიან აგრეთვე გ. ფუხაშვილი, ლ. თინაშვილი, ა. გაბათაშვილი, დ. შენგელიძე და სხვ.

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის ნოტაზე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ

გერმანია

ბერლინი, 27 მაისი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობა თავის საპასუხო ნოტაში ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი, — წერს დღეს გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“, — გერმანელი ხალხისა და ევროპაში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის მოითხოვს დაუყოვნებლივ დაიწყოს ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ. საბჭოთა მთავრობა წინადადებას იძლევა დაშვებულ არ იქნას შემდგომი გაჭიანურება ამ საქმეში.

საბჭოთა მთავრობა მთელი ძალით გმობს ამერიკის სამხედრო „საერთო ხელშეკრულებას“, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის აშკარა სამხედრო კავშირს ევროპაში აგრესიულ წრეებთან, გერმანელ რევანშისტებთან, რომლებიც გერმანელ ხალხს ითრევენ ახალი ომის მზადებაში. საბჭოთა მთავრობა ხაზგასმით აღნიშნავს ეგრეთწოდებული „ევროპის არმიის“ და ამ არმიაში დასაკომანდირებელ გერმანიის არმიის, გერმანელი რევანშისტების შეყვანის აგრესიულ ხასიათს და ამ მოქმედებას ახასიათებს, როგორც დასავლეთ გერმანიის რევანშისტული მმართველი წრეების და სახელმწიფოთა ჩრდილოეთ ატლანტიკის დაჯგუფების შეთანხმებას.

საბჭოთა კავშირის ნოტაში ლოგიკურად გამოყენებულია დასკვნა, რომ ორკოფული პოლიტიკა დასავლეთის სახელმწიფოებისა, რომლებიც ერთი მხრივ ლაპარაკობენ საზავო ხელშეკრულების დადების აუცილებლობაზე, ხოლო მეორე მხრივ ყოველივეს სჩადიან, რათა ხელი შეუშალონ მის დადებას, „გერმანელ ხალხს აიძულებს აუცილებლობის წინაშე—ეძებოს საზავო ხელშეკრულებისა და გერმანიის ეროვნული გაერთიანების თავისი გზა. „მშვიდობის მძლავრ, დღითიდღე მზარდ მსოფლიო ბანაკთან შედარებით, განაგრძობს გაზეთი, ომის გამჩაღებლები წარმოადგენენ მოხმაურე, გაბოროტებულ, უპერსპექტივო ადამიანთა მცირე ჯგუფს. რაც უფრო გაფთრებით და თავგამეტებით ესწრაფვიან ისინი ომს, მით უფრო მეტად თელავენ ფეხქვეშ ხალხთა ეროვნულ ინტერესებს და ძირველ რიგში გერმანელი ხალხის ინტერესებს, მით უფრო სწრაფად ეთიარდებიან იმ ხალხთა პატრიოტული ძალები, რომელთაც დიდი საბჭოთა კავშირი საიმედო პერსპექტივებს უსახავს.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებმა და ადენაუერებმა გამოიწვიეს გერმანელი ხალხი. გერმანელი ხალხი პასუხს გასცემს მათ. გერმანელებო — დაიკავეთ თქვენი ადგილი მშვიდობისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში! ჩაშალეთ სამხედრო „საერთო ხელშეკრულების“ განხორციელება, ძირს ადენაუერი!“.

გაზეთი „ტრიბუნე“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ, თანმიმდევრულად და განუხრელად იცავს ხალხთა საერთო მიზანს: მშვიდობას.

გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი“ წერს: „ამ სერიოზულ ფაქს გერმანელმა ხალხმა მიიღო თავისი იმ რწმენის ახალი დადასტურება, რომ მას ჰყავს საიმედო, ძლიერი მეგობარი. ეს მეგობარია საბჭოთა კავშირი. „საერთო ხელშეკრულების“ ხელმოწერის წინ საბჭოთა კავშირმა გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი ნოტა და მიემართა გერმანელ ხალხს, რომელიც თავისი ეროვნული უფლებებისათვის იბრძვის. ამასთან საბჭოთა მთავრობა განუხრელად ასრულებს სამშვიდობო პოლიტიკის თავის პრინციპს. ამჯერადაც იგი იყენებს ყოველივეს, რასაც შეუძლია ხელი შეუწყოს მშვიდობის უზრუნველყოფას“.

საბჭოთა მთავრობის ახალმა ნოტამ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებისადმი წინადადებით—დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება ერთიან გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის ფართო გამოხმაურება და მოწონება ჰპოვა.

ბერლინის საწარმოთა და დაწესებულებათა მშრომელები გულმხურვალედ განიხილავენ ამ მნიშვნელოვან დოკუმენტს, რაც ახალი დადასტურებაა საბჭოთა კავშირის თანმიმდევრულ, სამშვიდობო პოლიტიკისა, რომელიც შეეფერება გერმანელი ხალხის ძირითად სასიცოცხლო ინტერესებს.

ბერლინის დემოკრატიულ სექტორში მდებარე გაზის ქარხნის მშრომელებმა საერთო კრებაზე მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც ისინი მხურვალედ იწონებენ საბჭოთა მთავრობის ნოტას და გამოთქვამენ მტკიცე გადაწყვეტილებას მთელი ძალები მიახმარონ სპარატული სამხედრო ხელშეკრულების განხორციელების წინააღმდეგ ბრძოლას.

საქსონიაანჰალტის მხარის თავისუფალი გერმანული პროფკავშირების გაერთიანების გამგეობამ 1.200 ათასი მშრომელის სახელით გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია: პროფკავშირები მხარს უჭერენ საბჭოთა მთავრობის მოთხოვნას, რომ დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას ოთხი სახელმწიფოს თათბირი ევროპასთან საზავო ხელშეკრულების საკითხის, აგრეთვე გერმანიის გაერთიანებისა და სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის საკითხის განსახილველად.

მეკლენბურგის მხარის ფაშიზმის დროს დევნილი პირთა გაერთიანების გამგეობა გამოქვეყნებულ განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ნოტა დასავლეთის სახელმწიფოებისადმი ყველა გერმანელის მოთხოვნას შეესაბამება. ანალოგიური რეზოლუცია მიიღეს კულტურბუნდის შვერინში გამართული კონფერენციის მონაწილეებმა.

საქსონიის მცხოვრებლებმა გაავრცელეს ასეულათასობით ფურცელი და ათასობით პლაკატი საბჭოთა მთავრობის 24 მაისის ნოტის ტექსტით. საქსონიის საწარმოთა და დაწესებულებათა მშრომელები გულმხურვალედ განიხილავენ საბჭოთა მთავრობის ნოტას და მიესალმებიან მოთხოვნას დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება სსრ კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა, ინგლისსა და საფრანგეთს შორის გერმანიის საკითხზე.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

პეკინი, 27 მაისი. (საკდესი). ყველა ჩინურმა გაზეთმა გამოაქვეყნა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი.

კოლონეთი

ვარშავა, 27 მაისი. (საკდესი). მოწინავე სტატიაში სათაურით „ამერიკელთა და ჰიტლერელთა შეთქმულების წინააღმდეგ“ გაზეთი „ტრიბუნა ლიუდუ“ წერს:

საბჭოთა მთავრობის ნოტა საკმაოდ ამხილებს ყალბ, ორპოფულ თამაშს იმპერიალისტებისას, რომლებიც მაღალფარდოვან განცხადებებს აკეთებენ გერმანიის გაერთიანების შესახებ და ამავე დროს აბრკოლებენ ასეთ გაერთიანებას. ვაშინგტონმა შემთხვევითი როდი გააჩაღა ასეთი გაფაციცებული საქმიანობა ბონის შეთქმულების მოშზადებაში. „საერთო ხელშეკრულება“ ამერიკელ იმპერიალისტებს იმისათვის ესაჭიროებოდათ, რომ „დოიჩლანდ იუბერ ალეს“ („გერმანია ყველაზე მაღლა“— ძველი იმპერიალისტური გერმანიის ჰიმნი. — რედ.) აკომპანიმენტით ტრიზონია შეეერთებინათ ატლანტიკის პაქტისათვის და „ევროპის არმიაში“ შეეყვანათ ასეულ ათასობით გერმანელი ჯარისკაცი...

ომის გამჩაღებელთა ამ შეთქმულების წინაშე სულ უფრო ფართოდ ჩადგება გერმანელ პატრიოტთა მოძრაობა სსრ კავშირის მთავრობის მიერ კვლავ განმეორებულ წინადადებათა განხორციელებისათვის, რომლებიც ევროპას უსახავენ მშვიდობის განმტკიცების პერსპექტივას, ხოლო გერმანიის გაერთიანების, სუვერენიტეტისა და მშვიდობიანი განვითარების პერსპექტივას.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 27 მაისი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატებისა, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ, ჩეხოსლოვაკიის პრესის ყურადღების ცენტრშია.

გაზეთი „რუდე პრავო“ მოწინავე სტატიაში სათაურით „გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ საბჭოთა წინადადებების განხორციელებისათვის“ წერს:

საბჭოთა მთავრობის ნოტამ ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის უდიდესი ყურადღება მიიპყრო. გერმანიის საკითხის გადაწყვეტა დღეს მთელი კაცობრიობის ინტერესების ცენტრშია. საბჭოთა ნოტა კვლავ ცხადყოფს, რომ საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად ცდილობს გერმანიის საკითხი გადაწყდეს მშვიდობისა და გერმანელი ხალხის ბედნიერი მომავლის უზრუნველყოფის სულისკვეთებით.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი ინგლისელ-ფრანგი თანამონაწილეების პოლიტიკა დასავლეთ გერმანიაში, რაც გამოიხატა დასავლეთ გერმანიის იმპერიალისტებთან „საერთო ხელშეკრულების“ დადებით, პირდაპირ ეწინააღმდეგება გერმანელი ხალხისა და მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის სასიცოცხლო ინტერესებს. ცხადია, წერს გაზეთი, რომ ასეთი პოლიტიკა ხელს ვერ შეუწყობს ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, დამოუკიდებელი გერმანიის შექმნას. პირიქით, ეს პოლიტიკა ახალ სიძნელეებსა და დაბრკოლებებს უქმნის გერმანიის ორივე ნაწილის გაერთიანებას.

საბჭოთა მთავრობის წინადადებანი, წერს „რუდე პრავო“, კვლავ აწყობენენ მთელ კაცობრიობას, ვის სურს მშვიდობა და ვინ ლაპარაკობს მშვიდობაზე მარტო ლიტონი ფრაზებით და ყოველივეს აკეთებს იმისათვის, რომ გაჩაღოს ომი. მარტო საბჭოთა სამშვიდობო წინადადებების რაც შეიძლება მალე განხილვას, ნამდვილად დამოუკიდებელი სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნას, რომელიც შეიქმნება არ იქნება რაიმე სპარატული ხელშეკრულების დამამცირებელი პირობებით, როგორიც არის „საერთო ხელშეკრულება“, შეუძლია გამოიწვიოს მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფა ევროპაში.

ყველა ადამიანი, ვისაც მშვიდობა სწყურია, მტკიცედ გმობს იმპერიალისტთა პოლიტიკას, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ დასავლეთი გერმანია თავიანთი დანაშაულებრივი მიზნებისათვის გამოიყენონ. ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა დაიმორჩილონ შეთქმულების ინიციატორები.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები უდიდესი აღშფოთებით გმობენ დასავლეთ გერმანიაში იმპერიალისტთა გაიძვერული შეთანხმების და მოითხოვენ, რომ გერმანიის საკითხი გადაწყდეს საბჭოთა წინადადებების მიხედვით.

გაზეთი „ლიდა ფრონტა“ მიესალმება საბჭოთა მთავრობის ახალ ნაბიჯს, რომლის მიზანია ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული და დამოუკიდებელი გერმანიის სახელმწიფოს შექმნა, და მტკიცედ გმობს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა მოქმედებას, რომლებმაც ხელი მოაწერეს სპარატულ სამხედრო ხელშეკრულებას ბონელ მარიონეტებთან.

გარდავქმნათ საავადმყოფოების მუშაობა პავლოვის მოძღვრების საფუძველზე

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და სამედიცინო აკადემიის გაერთიანებული სესიის შემდეგ, რომელიც ამ ორიოდე წლის წინათ შედგა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აკადემიკოს პავლოვის მოძღვრების დანერგვას სამკურნალო დაწესებულებების პრაქტიკულ საქმიანობაში. უნდა აღინიშნოს, რომ ამის შედეგად საბჭოთა კლინიკური მედიცინის განვითარებასა და მკურნალობის მეთოდების გაუმჯობესებაში დიდი წარმატებაა მიღწეული. უკვე არის მრავალი ფაქტი, რომ პავლოვის მოძღვრების საფუძველზე შემუშავებული მეთოდების გამოყენებამ ავადმყოფთა მკურნალობაში მეტად დამაკმაყოფილებელი შედეგები მოგვცა.

ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს კიევის ოლქის მაკაროვის რაიონული საავადმყოფოს მუშაობის გამოცდილება, რომლის გასაცნობად თბილისს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტმა აღნიშნულ საავადმყოფოში მიავლინა მეცნიერ მუშაკთა ჯგუფი ზ. ზუბადალაშვილის, თ. კერძაიას, შ. ხეცურიანის და ამ წერილის ავტორის შემადგენლობით.

ჩვენი მიზანია საქართველოს საზოგადოებრიობას გავაცნოთ ის დიდი გარდატეხა, რომელსაც მაკაროვის რაიონული საავადმყოფოს მუშაკებმა მიაღწიეს მკურნალობის საქმეში პავლოვის მოძღვრების გამოყენებით და მის საფუძველზე დამუშავებული მეთოდების პრაქტიკაში დანერგვით.

ეს საავადმყოფო წინათ კიევის მთელ ოლქში ერთ-ერთ ჩამორჩენილ სამკურნალო დაწესებულებად იყო მიჩნეული: საავადმყოფო მოთავსებული იყო შეუფერებელ შენობაში, პალატებში არასასიამოვნო სპეციფიკური სუნი იდგა, ღამით ზოგ პალატაში ზომაზე მეტი შუქი იყო, ზოგან—ნაკლები, დერეფნებსა და პალატებში განუწყვეტელი ხმაური, ავადმყოფთა კვნესა, შესახვევი განყოფილებიდან ავადმყოფთა ოხვრა ისმოდა, საავადმყოფოში სმენილი, ყნოსვითი და მხედველობითი გაღიზიანების გამომწვევი ფაქტორები უარყოფით გავლენას ახდენდა დაავადებათა მკურნალობის მიმდინარეობაზე, აძლიერებდა პათოლოგიურ პროცესებს.

ბევრი იფიქრეს ამ საავადმყოფოს მუშაკებმა, თუ როგორ გარდაექმნათ თავიანთი მუშაობა, უფრო რაციონალურად მოეწყოთ ავადმყოფთა მკურნალობა. საავადმყოფოს კოლექტივს ამ საქმეში მეთაურობა გაუწია კიევის ოლქის მთავარმა ქირურგმა დოცენტმა ბეილინმა. მისი ხელმძღვანელობით საავადმყოფოს პერსონალმა მუშაობა მოკლე დროში გარდაქმნა აკადემიკოს პავლოვის მოძღვრების საფუძველზე, მიაღწია ავადმყოფთა მკურნალობის საქმის გადაჭრით გაუმჯობესებას.

რით დაიწყეს, როგორ მიაღწიეს საავადმყოფოს მუშაობის გარდაქმნას მაკაროვის რაიონულ საავადმყოფოში?

პირველი ღონისძიება, რომელიც აქ განახორციელეს, იყო საავადმყოფოში არსებული „ობიექტური“ პირობების შეცვლა, სიჩუმის რეჟიმის შემოღება და ამის შედეგად ავადმყოფებზე უარყოფითად მოქმედი გამაღიზიანებელი ფაქტორების ლიკვიდაცია.

საავადმყოფოში სიჩუმის რეჟიმის დამყარება ადვილად განსახორციელებელი ღონისძიება როდი იყო. საჭირო გახდა საავადმყოფოს მომსახურე პერსონალში წინასწარი მუშაობის გაწევა, განმარტება იმისა, თუ რას გეკარნახებს აკადემიკოს პავლოვის მოძღვრება, როგორ უნდა გავიგოთ მისი ცნობილი დებულება, რომ ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე პროცესებზე გარეშე ფაქტორების ზეგავლენა ხორციელდება თავის ტვინის ქერქის მეშვეობით და ა. შ.

ამ მიმართულებით დაწყებული ხანგრძლივი მუშაობის შედეგად საავადმყოფოში მუშაობა რადიკალურად შეიცვალა, თანდათანობით და შეუმჩნევლად განხორციელდა საავადმყოფოში სიჩუმის რეჟიმი (ჩურჩულით ლაპარაკი, რბილანჩიანი წაღებით სიარული, კარების ჭრიალის აღკვეთა და ა. შ.). საავადმყოფოში მოაწყეს ვენტილაცია, აღკვეთეს არასასიამოვნო სუნი, მოსპეს მხედველობითი გაღიზიანების გამომწვევი ფაქტორები, პალატებში კედლებზე ჩამოკიდეს სურათები, რომლებზეც ასახულია სასიამოვნო პეიზაჟები, პალატებში ავადმყოფთა განაწილება მოახდინეს დაავადებათა სიმძიმის მიხედვით და ა. შ.

ამის შემდეგ შეუდგნენ მუშაობას ავადმყოფთა შორის ფიზიოლოგიური ძილის გახანგრძლივების მისაღწევად.

ცნობილია, რომ ნერვულ რეცეპტორებზე მოქმედი გამაღიზიანებლების გამოთიშვის შემდეგ ინტერორეცეპტული სიგნალების განუწყვეტელი ნაკადი ავადმყოფ ორგანიზმში იწვევს დაღლას და აღდგენითი პროცესებისაკენ ავადმყოფი ორგანიზმის მიდრეკილების გაძლიერებას, სხვა სიტყვით—მიდრეკილებას ძილისაკენ. საკმარისია ავადმყოფს შევუქმნათ ძილისათვის ხელსაყრელი პირობები, რომ მისი ორგანიზმის ბუნებრივი დაცვითი მექანიზმი გააქტივდეს. ძილისათვის სათანადო პირობების შექმნის შედეგად მაკაროვის რაიონულ საავადმყოფოში მიაღწიეს ავადმყოფთა ფიზიოლოგიური ძილის გახან-რძლივებას დღეღამეში 7 საათის ნაცვლად 12,5—18 საათამდე. ფიზიოლოგიური ძილის გახანგრძლივება საუკეთესო შედეგს იძლევა ზოგიერთი დაავადების დროს.

ფიზიოლოგიური ძილის გახანგრძლივება, როგორც ამას მაკაროვოელთა გამოცდილება მოწმობს, დამოკიდებულია ნერვულ ტიპზე, ასაკზე და დაავადების ხასიათზე. აღსანიშნავია, რომ ამ საავადმყოფოში, სადაც ავადმყოფებს თითქმის ორჯერ მეტ ხანს სძინავთ, ვიდრე სხვა საავადმყოფოებში, მომსახურე პერსონალი საგრძნობლად განტვირთულია და მეტი დრო რჩებათ სხვა სამუშაოთა შესასრულებლად. საავადმყოფოში არსებულ სიჩუმის რეჟიმს და ძილით მკურნალობას ავადმყოფები კარგ შეფასებას აძლევენ. საავადმყოფოდან წასვლისას ისინი ერთსულოვნად აღნიშნავენ:—ჩვენ აქ არა მარტო განვიკურნეთ, არამედ კიდევაც დავისვენეთო.

დიდი ყურადღება ექცევა ავადმყოფთა დაცვას უარყოფითი ემოციებისაგან. ჩვეულებრივად ავადმყოფი ყოველთვის განიცდის უარყოფით ემოციას ქირურგიული ოპერაციის წინ, ოპერაციის მსვლელობისას და მის შემდეგაც. ამ ემოციებისაგან ავადმყოფთა დაცვის მიზნით მაკაროვოს საავადმყოფოში მიმართავენ ფსიქოპროფილაქტიკას და პედაგოგიკურ ზეგავლენას. ავადმყოფებს განუმარტავენ, თუ რა მიზანია დასახული ქირურგიული ოპერაციით, როგორ იქნება მიღწეული გაუმტკივნეულობა, რატომ უნდა გამოიყენონ ნიღაბი, რა მნიშვნელობა აქვს ფეხების გადაკვრას და ა. შ.

ავადმყოფთა წარმატებით მკურნალობისათვის მაკაროვოელები იყენებენ მუსიკას, მხატვრულ ლიტერატურას, ყველა იმ საშუალებას, რასაც შეუძლია ავადმყოფის შემეცნებაში უმჯობესობის მხრივ გარდატეხის გამოწვევა. ამ მიზნით ავადმყოფებთან აწყობენ საუბრებს მკურნალობის შინაარსის შესახებ, უხსნიან, თუ რა გავლენას ახდენს ავადმყოფზე ფიზიოლოგიური ძილი.

ამასთან საავადმყოფოში მოწყობილია მაგნიტოფონით გადაცემა საუბრებისა, მუსიკალური ნაწარმოებებისა, დამამშვიდებელი მელოდიებისა (ზღვის ღელვის ხმაური, შხაპუნა წვიმის ხმა), გულდასმით შერჩეული სასიამოვნო ცნობებისა გაზეთებიდან. ყველა ამ ღონისძიების დანიშნულებაა ავადმყოფთა ფსიქიკური ტონუსის გაუმჯობესება.

დიდი მნიშვნელობა აქვს მაკაროვოელთა მიერ საავადმყოფოს პრაქტიკაში შემოღებულ რეფლექტორულ ძილს, როგორც მკურნალობის მეთოდს.

პირველ ხანებში აქ მიმართეს მედიკამენტების გამოყენებას ძილისათვის, მაგრამ ზოგი არასასურველი შედეგის გამო მედიკამენტური ძილი უარყოფილი იქნა და გადავიდნენ რეფლექტორული ძილით მკურნალობაზე. რეფლექტორული ძილის გამოწვევა ხდება სასიამოვნო გაღიზიანებათა საშუალებით. საამისოდ იყენებენ ავადმყოფთა ყოფაცხოვრების სპეციფიკურ პირობებთან შეფარდებულ გამაღიზიანებლებს — წვიმის ხმას, სათბურებს და ყოველივე იმას, რაც მშვიდი ძილის სურვილს გამოიწვევს. ძილის მომგვრელ გამაღიზიანებლად იყენებენ მატარებლის სვლის ხმაურის იმიტაციასაც. პირველ დღეებში საჭირო ხდება მედიკამენტური საშუალებების გამოყენებაც იმდიფერენტული შენარევებით. შემდგომ დღეებში დასაძინებელი წამლის დოზა თანდათანობით მცირდება, რჩება მარტო ინდიფერენტული ფხვნილი, ხოლო ბოლოს ამ ფხვნილის მიღებაც წყდება და ძილის წინ მოკლე დამაჯერებელი საუბრის შემდეგ ფსიქიკური ზეგავლენით ავადმყოფებს რეფლექსური

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად დაინიშნა ი. ცედენბალი

ულან-ბატორი, 27 მაისი. (საკდესი). მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმმა დაადგინა იუმჟაგინ ცედენბალი დაინიშნოს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად. იუმჟაგინ ცედენბალი მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის გენერალური მდივანია. ახლანდელ პოსტზე დანიშვნამდე იგი ასრულებდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის მოვალეობას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილება

ბერლინი, 26 მაისი. (საკდესი). როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ინფორმაციის უწყება გადმოგვცემს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1952 წლის 26 მაისს მიიღო გადაწყვეტილება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის დასავლეთ საოკუპაციო ზონებს შორის სადემარკაციო ხაზზე მისაღებ ღონისძიებათა შესახებ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, — ნათქვამია ამ ცნობაში, — ბონის მთავრობასა და დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებს გაუგზავნა წინადადებანი სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოწყობისა და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადების შესახებ. ამასთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ხელმძღვანელობდა ხალხის ერთსულოვანი სურვილით, რომლის მიზანია გერმანიის მშვიდობისა და ერთიანობის შენარჩუნება. ეს წინადადება უარყო ბონის ადენაუერის მთავრობამ, რომელიც ამერიკელ, ინგლისელ და ფრანგ ხელისუფალთა მითითებით აპირებს დადოს მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულება", რომელიც მიმართულია საზავო ხელშეკრულების და გერმანიის ერთიანობის აღდგენის წინააღმდეგ. თავისი მილიტარისტული პოლიტიკის თანახმად ბონის მთავრობამ და დასავლეთის მაოკუპირებელმა სახელმწიფოებმა სადემარკაციო ხაზზე შემოიღეს მკაცრი სასაზღვრო და საბაჟო რეჟიმი, რათა გაეძიჯნონ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას და ამით გაარღვიონ გერმანიის გაერთიანება.

იმ გარემოებას, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას სადემარკაციო ხაზზე სათანადო დაცვა არა ჰყავს, დასავლეთი სახელმწიფოები იყენებენ, რათა სადემარკაციო ხაზის გადმოსვლით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოგზავნონ სულ უფრო მეტი ჯაშუში, დივერსანტი და კონტრაბანდისტი, რომელსაც თავიანთ დანაშაულებრივ დავალებათა შესრულების შემდეგ დღემდე შეუფერხებლად შეეძლოთ დასავლეთ გერმანიაში დაბრუნებულიყვნენ სადემარკაციო ხაზის გადასვლით.

ამ გზით მტრის აგენტები ცდილობენ ძირი გამოუთხარონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობიანი, ეკონომიური და კულტურული მშენებლობის წარმატებებს, გააძლონონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება და შეარყიონ დემოკრატიული წყობილება და კანონიერება.

ამერიკელ, ინგლისელ და ფრანგ საოკუპაციო ხელისუფალთა და ბონის მთავრობის ამ მოქმედების შედეგად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებულია მიიღოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია დაცულ იქნას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის ინტერესები და შეუძლებელი გახდეს მტრის აგენტების შემოსვლა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ამის გამო სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს დაავალა დაუყოვნებლივ მიიღოს სასტიკი ღონისძიებანი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და დასავლეთის საოკუპაციო ზონებს შორის სადემარკაციო ხაზის დაცვის გასაძლიერებლად.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ამ გადაწყვეტილებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ თუ მიღწეულ იქნა შეთანხმება სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოწყობის შესახებ დემოკრატიულ და მშვიდობიან საფუძველზე გერმანიის ერთიანობის აღდგენის მიზნით სადემარკაციო ხაზის დასაცავად გამოყენებული ყველა ახლანდელი ღონისძიება შეიძლება დაუყოვნებლივ გაუქმდეს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეს გადაწყვეტილება ძალაში შედის დღეიდან.

გერმანიის კომპარტიის გამგეობის მოწოდება გერმანელი ხალხისადმი

ბერლინი, 27 მაისი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო დიუსელდორფიდან იუწყება, გუშინ გერმანიის კომპარტიის გამგეობამ გერმანელ ხალხს მიმართა მოწოდებით, რომელშიც ნათქვამია:

„ბონში მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების" ხელმოწერის დღეს გერმანიის კომუნისტური პარტია დასავლეთ გერმანიის მთელი მშვიდობისმოყვარე და პატრიოტულად განწყობილი მოსახლეობის სახელით აცხადებს:

ამ ხელშეკრულებაზე ადენაუერის ხელმოწერას ძალა არა აქვს. ადენაუერის ხელმოწერა მილიტარისტულ „საერთო ხელშეკრულებაზე", რომელიც ნიშნავს დასავლეთ გერმანიის დამონებას, ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე და დამოუკიდებელი გერმანიის შექმნის ჩაშლას, ძმათამკვლელ ომს, გაკეთებულ იქნა გერმანელი ხალხის მიერ თანხმობის გაუცხადებლად და გერმანელი ხალხი მას არასოდეს არ მოიწონებს.

ხელი მოაწერა რა მილიტარისტულ „საერთო ხელშეკრულებას", ადენაუერმა გერმანელი მონოპოლისტებისა და მილიტარისტების დავალებით და შეიარაღების ამერიკული მაგნატების და იმ პირთა ბრძანებით, რომლებიც ომით მდიდრდებიან, სახელმწიფო გადატრიალება განახორციელა. ფეხქვეშ თელავენ რა გერმანელი ხალხის ელემენტარულ დემოკრატიულ უფლებებს, ახორციელებენ რა ძალადობას ბონის პარლამენტისადმი, რომელსაც არც კი აცნობეს მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების" შინაარსი, ამ მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების" ხელმომწერმა ადამიანებმა ცხადყვეს, რომ ისინი ომისა და სამოქალაქო ომის თავიანთი გეგმების განხორციელებისთვის ისწრაფვიან დასავლეთ გერმანიაში დაამყარონ სამხედრო დიქტატურა. გერმანიის ისტორიაში არასოდეს არა ყოფილა ისეთი მთავრობა, რომელიც ისე იზოლირებული ყოფილიყო მთელი ხალხისაგან და ისე საძულველი ყოფილიყო ხალხისათვის, როგორც ადენაუერის მთავრობა „საერთო ხელშეკრულების"—ეროვნული სირცხვილის ამ ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს.

ამერიკელი და გერმანელი იმპერიალისტები სამხედრო დიქტატურის დამყარებას ამზადებენ. ისინი უშუალოდ ემუქრებიან ყველა დემოკრატიული პარტიისა და ორგანიზაციის არსებობას. ისინი იმუშავებენ ახალ, ანტიპოფაკაშირულ კანონს. ისინი ამყარებენ საწარმოებში იძულებითი შრომის სამხედრო სისტემას. ისინი აშზადებენ კანონს იძულებითი სამხედრო ბეგრის შესახებ, რათა გერმანელი ახალგაზრდობა გაიწვიონ არმიაში, რომლის უმაღლესი სარდალია კორეიდან გადმოყვანილი ამერიკელი გენერალი რიჯუეი. ისინი ემუქრებიან ყველა მშვიდობისმოყვარე პროგრესული გერმანელის სიცოცხლეს, უშიშროებასა და არსებობას.

ადენაუერის მიერ მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების" ხელმოწერის დიდი სირცხვილი და მთელი საზიზღრობა ყველა ნამდვილი გერმანელისათვის სრულიად ცხადია ამ ფაქტით, რომ საბჭოთა კავშირმა ჯერ კიდევ ხელმოწერამდე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს გაუგზავნა ნოტა, რომელიც შეიცავს წინადადებას 4 დიდი სახელმწიფოს მოლაპარაკების დაუყოვნებლივ გამართვის შესახებ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესამუშავებლად, მთელ გერმანიაში თავისუფალი არჩევნების მოსაწყობად. საბჭოთა კავშირის ეს ნოტა, რომელსაც მთელი გერმანელი ხალხი მზერავლად მიესალმება, უყურადღებოდ დატოვეს მშვიდობის მოსისხლე მტრებმა.

ამიტომ მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების" ხელმოწერის დღეს გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობა მთელი გერმანელი ხალხის წინაშე, ევროპისა და მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის წინაშე აცხადებს: მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულება" გერმანიის წინააღმდეგ მიმართული ხელშეკრულებაა, მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულება" ევროპაში მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული ხელშეკრულებაა.

ამიტომ კომუნისტები სათავეში უდგებიან ყველა გერმანელ პატრიოტს და მთელ თავიანთ ძალებს აზამარენ მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების" ლიკვიდაციას, ბრძოლას გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისათვის, რომელიც ჩვენი ხალხისათვის უზრუნველყოფს მის ეროვნულ ერთიანობას, დემოკრატიასა და დამოუკიდებლობას და ამით უზრუნველყოფს მშვიდობას ევროპაში.

გერმანიის მუშათა კლასმა, გერმანელმა გლეხებმა, ყველა გერმანელმა მოქალაქემ და, პირველ რიგში, მშვიდობისმოყვარე ახალგაზრდობამ, გასულ კვირეებში ძლიერი დემონსტრაციებით, მასობრივი გაფიცვებით, მიტინგებსა და კრებებზე ცხადყვეს, რომ სურთ არა მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულება", არამედ საზავო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირის წინადადებათა შესაბამისად, რომლებიც უზრუნველყოფენ მშვიდობისმოყვარე გერმანიის ერთიანობას, დემოკრატიასა და დამოუკიდებლობას.

ჩვენი ხალხისა და სამშობლოსათვის ამ უდიდესი საფრთხის ჟამს საქმეს წყვეტს არა სიტყვები, არამედ მოქმედებისათვის გაერთიანებული მუშათა კლასი, სამშობლოს მოყვარულ ყველა გერმანელთან კავშირით. ეს ძალა დიდია, და მას შეუძლია ხელი შეუშალოს მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების" განხორციელებას და მიაღწიოს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას.

ამ სერიოზულ ჟამს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და მისი მთავრობა თავს გვიჩვენებენ, როგორც მთელი გერმანელი ხალხის მტკიცე და ურყევი მასტიონი ერთიანობისათვის, მშვიდობისა და ეროვნული არსებობისათვის ბრძოლაში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკა, მისი ღონისძიებანი თავდაცვისა და მშვიდობიანი მშენებლობის დაცვისათვის წარმოადგენენ გერმანიის ტერიტორიაზე ამერიკელთა სამხედრო გეგმების ჩაშლის გადამწყვეტ გარანტიას და დასავლეთ გერმანიის მუშათა კლასისა და მთელი მშვიდობისმოყვარე მოსახლეობისათვის გაწეულ უშუალო დახმარებას მათს ბრძოლაში მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების" წინააღმდეგ და საზავო ხელშეკრულების დადების სასარგებლოდ.

გაერთიანდით ყველგან მძლავრი დემონსტრაციებისა და მიტინგების გასამართავად, რათა ცხადყოთ ჩვენი ხალხის ერთიანი ნება. ახლა ყველგან საქმე თვით ხალხმა უნდა გადაწყვიტოს.

ომის გამჩაღებელთა გეგმები უნდა ჩაიშალოს. ძირს ადენაუერის მთავრობა, მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების" მთავრობა, შიშლილის, დამონების, ომის, ძმათამკვლელი ომის მთავრობა.

ძირს მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულება", რომელიც წარმოადგენს ამერიკელი და გერმანელი იმპერიალისტების ვერაგულ ხელყოფას გერმანელი ხალხის სიცოცხლისა და ევროპაში მშვიდობის წინააღმდეგ.

განამტკიცეთ ყველა გერმანელი პატრიოტის საბრძოლო ერთიანობა ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დასადებად, რომელიც ჩვენი ხალხისათვის უზრუნველყოფს ერთიანობას, მშვიდობას, დემოკრატიასა და დამოუკიდებლობას.

დადგა ჟამი, როცა გერმანელმა ხალხმა საკუთარ ხელში უნდა აიღოს თავისი ბედი, რათა მიაღწიოს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ხალხის სიცოცხლის გადარჩენას და ჩვენი ერის არსებობას".

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 27 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღეს გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობენ თავდაცვითს ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ და დიდ ზარალს აყენებენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დასავლეთის ფრონტზე მოწინააღმდეგემ ავიაციის დახმარებით გუშინ ორჯერ მოიტანა გაფფრთებული იერიში სახალხო ჯარების პოზიციებზე დინხინდონის სამხრეთით მდებარე რაიონში, მაგრამ ზარალი მოუვიდა და იძულებული გახდა უკან დაეხია.

აღმოსავლეთის ფრონტზე მოწინააღმდეგე ერთ ბატალიონამდე ჯარით არტილერიის დახმარებით ცდილობდა იერიში მოეტანა სახალხო არმიის ხაწილების პოზიციებზე პენ-ამდონის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში. თითქმის ერთი საათის გაფფრებული ბრძოლის შედეგად გარემოცულ და მოსპობილ იქნა მოწინააღმდეგის ორი ასეული.

გუშინ სახალხო არმიის ნაწილებმა აღმოსავლეთ სანაპიროს რაიონში ჩაძირეს მოწინააღმდეგის ერთი ტრალერი, რომელიც არტილერიას უშენდა სანაპიროს დასახლებულ პუნქტებს.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო არტილერიამ და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის სამი თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ზურგის რაიონების ძვიდობიანი დასახლებული პუნქტების დაბომბვასა და მათთვის ტყვიამფრქვევის დაშენაში.

საფრანგეთის დემოკრატიული ორგანიზაციების მიმართვა მოსახლეობისადმი

პარიზი, 27 მაისი. (საკდესი). დღეს გაზეთ „ლუმანიტეში" გამოქვეყნდა სენის დეპარტამენტის მშვიდობის საბჭოს, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის სენისა და ვუაზის დეპარტამენტის ფედერაციის, საფრანგეთის რესპუბლიკელი ახალგაზრდობის კავშირის ეროვნული ბიუროს, ფრანგ ქალთა კავშირის სენის დეპარტამენტის კომიტეტის, ფრანგ ქალიშვილთა კავშირის სენის დეპარტამენტის ფედერაციის, შრომის საყოველთაო კონფედერაციაში შემავალი მეტალურგთა პროფკავშირული ფედერაციის, წინააღმდეგობის მოძრაობის ყოფილ გმირებულ და ინტერნირებულ მონაწილეთა ასოციაციის და მრავალი სხვა დემოკრატიული ორგანიზაციის მიმართვა, რომლებიც თავიანთ წევრებს მოუწოდებენ მონაწილეობა მიიღონ 28 მაისს საფრანგეთში ამერიკელი გენერლის რიჯუეის ჩამოსვლის წინააღმდეგ საპროტესტო მანიფესტაციებში.

რედაქციული გაზეთები ათავსებენ პარიზის პოლიციის ცნობას იმის შესახებ, რომ 28 მაისისათვის დანიშნული მანიფესტაცია აკრძალულია. ასეთივე გადაწყვეტილება, როგორც გაზეთი „ფიგარო" იუწყება, მიიღო ბუშ-დიუ-რონის დეპარტამენტის პრეფექტურამ.

გაზეთი „ქენმინქიბაო" ჩინეთში ხორბლის მოსავლის შესახებ

პეკინი, 27 მაისი. (საკდესი). წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ხორბლის უხვ მოსავალს მოელიან. როგორც გაზეთი „ენმინჟიბაო" იუწყება, ახლა ჩინეთის მარცვლეულის ძირითად რაიონებში საუცხოოდ იზრდება ხორბალი და დარწმუნებული არიან, რომ მისი მოსავალი წელს 10 პროცენტით გადაკაპარებს შარშანდელს.

პინ იუანის პროვინციის ზოგიერთ რაიონში ხორბლის ასეთი ზრდა, როგორც ამჟამად, არ ყოფილა უკვე რამდენიმე ათეული წლის მანძილზე.

კინომასალიობის მოსკოვის თეატრის გასტროლები თბილისში

დღეს საქართველოს ფილარმონიის საზაფხულო თეატრში იწყება კინომსახიობის მოსკოვის თეატრის გასტროლები.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში თეატრის დირექტორმა ამხ. ბ. ივანოვმა განაცხადა:

კინომსახიობის მოსკოვის თეატრი—სტუდია, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელია საბჭოთა კინობელოვნების გამოჩენილი მოღვაწე ბ. ჩირკოვი, ჩამოყალიბდა 1950 წელს ლენინის ორდენოსან კინოსტუდია „მოსფილმთან". თეატრის შექმნის მიზანი იყო კინომსახიობთა აქტიორული დახელოვნებისა და ოსტატობის შემდგომი განვითარება.

თეატრის შემოქმედებით კოლექტივში, რომელიც 100 კაცისაგან შედგება, არიან საბჭოთა კინოხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები — სახელგანთქმული საბჭოთა კინომსახიობები ბ. ჩირკოვი, ბ. ანდრეევი, ბ. ტენინი, ვ. დრუჟინკოვი, მ. ლადინინა, ნ. ალისოვა, ა. კმიტი, ნ. კრიუჩკოვი, ს. მარტინსონი, ლ. სმირნოვა, მ. კუზნეცოვი, ვ. კუზმინა და სხვები.

თბილისელ მაყურებელს თეატრი უჩვენებს თავის ოთხ დადგმას. გარდა ამისა, საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით გამართული იქნება რამდენიმე კონცერტი.

თეატრის პირველი სპექტაკლი იქნება ა.ბალგაზრდა კინოდრამატურგების ი. ეგოროვისა და გ. პობედონოსცევის „სამი ჯარისკაცი". სპექტაკლის დადგმა ეკუთვნით პიესის ავტორებს, მხატვრული გაფორმება — სტალინური პრემიის ლაურეატს ს. მინდელს. სპექტაკლის მხატვრული ხელმძღვანელია სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ს. გერასიმოვი. სპექტაკლში მონაწილეობენ: სტალინური პრემიის ლაურეატი ლ. შაგალოვა, ნ. ჩერედნიჩენკო, მ. კრეპკოგორსკაია, რსფსრ დამსახურებული არტისტი ა. კმიტი, ა. ანტონოვი და სხვები.

30 მაისს თეატრი მაყურებელს უჩვენებს ა. ოსტროვსკის კომედიას „სიღარიბე დასაძრახი არ ნიშნავს", [illegible] ლაურეატი ა. დიკი, მხატვარი — რსფსრ სახალხო არტისტი ნ. აკიმოვი, კომპოზიტორი ი. მეტროვიჩი, ბალეტმასტერი ვ. ცაპლინი. სპექტაკლში მონაწილეობენ: რსფსრ სახალხო არტისტი ნ. კრიუჩკოვი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. ბალაშოვი, ვ. ბურლაკოვა, ვ. ტეხონოვი, კ. სოროკინი და სხვები.

თეატრის სავასტროლო რეპერტუარში [illegible] ავრეთვე ს. ნაიდენოვის „ვანიუშინის შვილები" (დადგმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სტალინური პრემიის ლაურეატის ნ. პლოტნიკოვისა, მხატვრები ს. ახვლედიანი და ზ. ბაიკოვსკაია); სპექტაკლში მონაწილეობენ რსფსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ბ. ანდრეევი, რსფსრ დამსახურებული არტისტი ა. ანტონოვი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. ბალაშოვი, მ. ბაროკკაია და სხვები; ვ. სემიონოვის „იქ, სადაც შუქშენიღბვა არ ყოფილა" (დადგმული სტალინური პრემიის ლაურეატი ბ. ბაბიკოვი, მხატვარი ე. ფრადკინა). სპექტაკლში მონაწილეობენ: ნ. კრიუჩკოვი, ვ. ტეხონოვი, ლ. ფრიჩინსკი, ბ. შპრინგფელდი და სხვ.

2 ივნისს საქართველოს ფილარმონიის საზაფხულო თეატრში გაიმართება კონცერტი — „კინოსმსახიობთა საღამო", რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი საბჭოთა კინოსმსახიობები — სტალინური პრემიის ლაურეატები ნ. ალისოვა, ბ. ანდრეევი, მ. კუზნეცოვი, ა. სმირნოვა, ბ. ტენინი, ს. მარტინსონი, გ. რომანოვი, კ. სოროკინი, ბ. ფრილოვი და სხვ.

ჩვენი თეატრის მთელი კოლექტივი დიდი აღფოთოვანებით შეხვდა საქართველოში სტასტროლოდ გამომგზავრებას. ყოველი ჩვენგანი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით წარსდგება მზიური საქართველოს დედაქალაქის მაღალი გემოვნების მქონე და მომთხოვნელი მაყურებლის წინაშე.

შეხვედრა მწერლებთან

სუხუმის სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრის შენობაში გაიმართა დიდი ლიტერატურული საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართველმა მწერლებმა და პოეტებმა.

თეატრში თავი მოიყარეს სუხუმის საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებმა, ქალაქის ინტელიგენციამ, სტუდენტებმა და მოსწავლეებმა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აფხაზეთის გაწყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. ი. თარბამ.

მოხსენება თემაზე — „ქართული საბჭოთა მწერლობა" გააკეთა მწერალმა ს. წეკერავამ.

ქალაქის მშრომელთა სახელით სტუმრებს მიესალმნენ მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგი ფ. ხიბა და მასწავლებელი ნ. გეილავა.

საღამოზე თავიანთი ნაწარმოებები წაიკითხეს მწერლებმა შ. დადიანმა, ა. მირცხულავამ, კ. ლორთქიფანიძემ, კ. კალაძემ, შ. აფხაიძემ, ა. ბელიაშვილმა, ო. ჭელიძემ, თ. ჯანგულაშვილმა, შ. ამისულაშვილმა და სხვ.

საღამოზე ლექსები წაიკითხა აგრეთვე ამჟამად სუხუმში მყოფმა გამოჩენილმა რუსმა მწერალმა კ. სიმონოვმა.

დასასრულ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სუხუმის სახელმწიფო ფილარმონიის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კ. გეგეჭკორის ხელმძღვანელობით, აგრეთვე ფილარმონიის ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლმა ჯ. ბაგრატიონის ხელმძღვანელობით.

საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო.

ქართველმა მწერლებმა ასეთივე საღამოები გამართეს გულრიფშის რაიონის სოფელ მერხეულში, აგრეთვე დურიფში და გაგრაში.

უნგრელი და საბჭოთა ფეხბურთელების ამხანაგური შეხვედრა

27 მაისს მოსკოვში „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა უნგრელი და საბჭოთა ფეხბურთელების მეორე ამხანაგური შეხვედრა.

შეჯიბრება დამთავრდა ანგარიშით 2:1 მოსკოველ ნაკრებ გუნდის სასარგებლოდ.

სტადიონის ტრიბუნებზე იყო ათეულ ათასობით მაყურებელი, რომლებიც გულთბილად მიესალმნენ ორივე გუნდის ფეხბურთელებს.

ახალი პიესა

ამ დღეებში მწერალთა კავშირის დრამატურგიის სექციის სხდომაზე განხილულ იქნა მარიან ბაკურაძის პიესა „წრფელი სიყვარული". განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მიხ. მრეველიშვილმა, ბ. ყიფანმა, ვ. გაბესკირიამ, თ. დონდუაშვილმა, გ. შატბერაშვილმა და სხვებმა.

სიუჟეტი პიესისა, რომელიც საბჭოთა ოჯახის თემას ასახავს, იშლება ახალი სამგორის ფონზე.

„წრფელი სიყვარული" ძირითადად მოწრფელულ იქნა. ზოგიერთი შენიშვნა, რაც ავტორს განხილვისას მიეცა, გათვალისწინებული იქნება პიესის დამდგმელი თეატრის მიერ.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

პირველი გვერდი — მოწინავე — საქართველოს კომკავშირის გადაუდებელი ამოცანები.

დროზე და უდანაკარგოდ ავიღოთ თავთავიანი კულტურების მოსავალი — წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონული თათბირის მონაწილეთა მიმართვა თბილისის ოქტომბრის კოლმეურნე გლეხობის, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკების, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი.

დღეს ვოლგა-დონზე — ა. ნოდეკი — გმირ ქალაქში.

მეორე გვერდი — „პრავდის" 28-V მოწინავე — ეზარდოთ კადრები მალალი მომთხოვნელობის სულისკვეთებით.

დ. ნიკოლაიშვილი — მინდორი და სარეველა ბალახი. კ. ბუდაძე — საკოლმეურნეო ქონების გამნიავებლები.

უდარდელობისა და თვითდამშვიდების შედეგად. (მკითხველთა წერილების მიმოხილვა).

სანიმუშოდ ჩავატაროთ გამოცდები სკოლებში.

მესამე გვერდი — უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის ნოტაზე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხი

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა მე-3 ტირაჟისა, რომელიც შედგა ქალაქ ბრესტში 1952 წლის 18 მაისს.
მოგება ხვდა სესხის ყველა 275 თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგებათა რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგებათა რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგებათა რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგებათა რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგებათა რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგებათა რაოდენობა მანეთობით
080407	41*)	1 000	084243	30*)	1 000	087251	1—50	200	090520	50*)	1 000	094075	11*)	1 000	097124	48*)	1 000
080754	44*)	1 000	084301	24*)	1 000	087261	1—50	200	090628	08*)	1 000	094115	1—50	200	097199	05*)	10 000
080915	27*)	1 000	084302	1—50	200	087313	1—50	200	090676	1—50	200	094164	1—50	500	097269	47*)	1 000
081070	1—50	500	084484	22*)	1 000	087351	32*)	1 000	090678	07*)	1 000	094165	1—50	500	097456	1—50	200
081286	1—50	200	084619	1—50	200	087371	20*)	1 000	090904	27*)	1 000	094213	45*)	1 000	097701	22*)	1 000
081464	34*)	1 000	084680	36*)	5 000	087623	25*)	1 000	091010	07*)	1 000	094405	35*)	1 000	097981	41*)	1 000
081631	1—50	500	084728	20*)	1 000	087654	05*)	1 000	091416	1—50	200	094410	50*)	1 000	097988	24*)	1 000
082263	49*)	1 000	084854	18*)	1 000	087867	15*)	1 000	091475	1—50	500	094561	41*)	1 000	097991	31*)	1 000
082272	1—50	200	084873	24*)	1 000	088119	1—50	200	091847	10*)	10 000	094712	42*)	1 000	098008	48*)	1 000
082282	44*)	1 000	084955	1—50	200	088200	1—50	200	091936	1—50	500	094802	1—50	200	098011	06*)	5 000
082294	45*)	1 000	085071	1—50	200	088320	44*)	1 000	092044	12*)	1 000	094831	1—50	200	098152	08*)	1 000
082296	1—50	500	085224	1—50	200	088414	1—50	200	092257	16*)	1 000	094984	1—50	200	098273	1—50	500
082400	1—50	500	085377	11*)	1 000	088624	01*)	5 000	092487	32*)	1 000	095106	03*)	1 000	098342	1—50	200
082467	27*)	5 000	085404	1—50	500	088646	06*)	1 000	092526	1—50	500	095440	1—50	200	098393	43*)	1 000
082476	45*)	1 000	085441	38*)	1 000	089093	33*)	5 000	092736	10*)	1 000	095499	44*)	1 000	098526	44*)	1 000
082785	09*)	1 000	085644	15*)	1 000	089152	13*)	1 000	092754	1—50	200	095601	1—50	200	098613	1—50	200
082996	05*)	1 000	085737	1—50	200	089235	1—50	200	092757	17*)	1 000	095795	26*)	5 000	098703	35*)	5 000
083006	39*)	1 000	085779	47*)	1 000	089269	1—50	200	093015	46*)	1 000	095968	1—50	200	098779	1—50	200
083091	50*)	1 000	086202	1—50	200	089588	05*)	1 000	093053	48*)	1 000	096042	40*)	1 000	098943	1—50	500
083176	11*)	1 000	086331	35*)	1 000	089606	1—50	200	093174	48*)	1 000	096056	1—50	200	099035	16*)	1 000
083260	49*)	10 000	086377	26*)	1 000	089622	36*)	1 000	093186	39*)	5 000	096170	1—50	200	099040	1—50	200
083304	07*)	1 000	086384	18*)	1 000	089770	15*)	1 000	093373	24*)	5 000	096214	1—50	200	099063	1—50	500
083369	1—50	500	086423	1—50	500	089854	03*)	1 000	093459	07*)	1 000	096223	1—50	200	099252	1—50	500
083457	04*)	25 000	086470	10*)	1 000	090048	1—50	200	093482	1—50	200	096326	1—50	200	099317	21*)	1 000
083564	1—50	200	086504	18*)	1 000	090059	26*)	1 000	093517	43*)	1 000	096365	1—50	200	099392	01*)	1 000
083628	1—50	500	086533	38*)	1 000	090186	29*)	1 000	093567	1—50	200	096409	15*)	5 000